# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 7 დეკემბერი, 2012 წელი.

№235 (7111)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge   ვებ გვერდი: www.open.ge   ფასი 50 თეთრი.


## სანამ უნდა აზარალებდეს ბიუჯეტს მავანთა ანგარებიანი გარიგება-გადაწყვეტილება?

„გაახლებული“ ძველი პუბლიკაცია, რომელშიც წამოჭრილ პრობლემას ახლა მაინც უნდა მიექცეს ყურადღება 3



## პოლიტპატიმრის სტატუსი — 190-ს, პოლიტდევნილის სტატუსი კი 25 პირს მიენიჭა 2



## პარლამენტმა „ნაციონალური მოძრაობის“ საბრალდებო დასკვნა დადო 5

## ისტორიულ მემკვიდრეობას ანადგურებენ!

ყაჯართა დინასტიის ძვირფასეულობის გამოსაფენად ბატონის ციხის კომპლექსი დაანგრიეს(?!) 6



## რა საიდუმლოს გვიყვება ვახა იბრაგიმოვი?.. 11

## გერმანულმა გამოცდილებამ საქართველოში გაამართლა 7

## სასწრაფო დახმარების ექიმები სწრაფ ცვლილებებს ითხოვენ 5

## ვენა საუკეთესო ქალაქია ცხოვრების ხარისხით, თბილისი კი - ყველაზე ცუდი 8



## როცა მთელი ცხოვრება სწავლობ! 9




PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**კანონმდებლები**

# პოლიტპატიმრის სტატუსი — 190-ს, პოლიტდევნილის სტატუსი კი 25 პირს მიენიჭა



**საქართველოს პარლამენტმა „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა თაობაზე“ დადგენილების პროექტი დაამტკიცა.**

**დადგენილებას მხარი 77-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ კი ხმა 14-მა კანონმდებელმა მისცა. დადგენილებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ დამტკიცებული სიების შესაბამისად იმ პირთა სია დგინდება, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირებად მიიჩნევიან.**

ამავე დადგენილების თანახმად, საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს უმოკლეს ვადაში აღნიშნული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმები.

ამავდროულად, როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს იმ პირთათვის სამართლებრივი სტატუსისა და მარეაბილიტირებელი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ პოლიტიკური ნიშნით და ამ დადგენილების მიღებამდე გათავისუფლდნენ პატიმრობიდან.

„პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა თაობაზე“ დადგენილების პროექტი დეპუტატებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ დღევანდელ სხდომაზე გააცნო. ამასთან, სხდომაზე კანონმდებლები პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და დევნილის სტატუსის მისანიჭებლად შერჩეული პირების სიასაც გაეცნენ.

სიის შედგენისას კომიტეტი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის 31900 რეზოლუციის მე-3 პუნქტის ა, ც, დ და ე ქვეპუნქტებით ხელმძღვანელობდა.

აქვე ბესელია იმასაც განმარტავს, რომ პოლიტდევნილისა და პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭება პირის უდანაშაულოდ ცნობას არ ნიშნავს. მისი თქმით, პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების მიმართ პოლიტიკური ამნისტია განხორციელდება და ამასთან დაკავშირებით მუხლი “ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტს დაემატება.

კომიტეტთან არსებულმა სამუშაო ჯგუფმა საბოლოო ჯამში 200-ზე მეტი ადამიანის საქმე განიხილა. არიან პირები, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა სამუშაო ჯგუფმა ვერ მოასწრო, რის გამოც მას მანდატი კიდევ ერთი თვით გაუხანგრძლივდება.

**პოლიტდევნილის სტატუსი მიენიჭათ:** გიორგი ქადაგიშვილს, გენადი არჩუაძეს, ბიძინა გიორგობიანს, გელა ნასყიდაშვილს, მიხეილ ქარელს, იასონ ჩიხლაძეს, ლევან ფხაკაძეს, ქიბარ ხალვაშს, ნიაზ ხალვაშს, მარინე ჭყონიას, ბადრი ბიწაძეს, ზურაბ გიგუაშვილს, გურამ გოგუას, ნიკა გელაშვილს, თემურ გიგაშვილს, მელიქ რაისიანს, გოჩა ვეტრიაკოვს, დავით ბეგიაშვილს, იანიკ ქარქუსოვს, ჯემალ ქარქუსოვს, ტარიელ ხალვაშს, მალხაზ ბაბლიძეს, ილია რამიშვილს, თეიმურაზ შენგელიას და გიგლა ბარამიძეს.

**პოლიტპატიმართა სტატუსის მატარებელი პირები არიან: 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით** — ადუაშვილი რევაზ, ნემსიწვერიძე მამუკა, ამბარცუმიანი ედუარდ, არევაძე თორნიკე, ახვლედიანი ვალერიან, ბერიშვილი ლევან, ბერაძე ზვიად, ბიბილური ალექსანდრე, გამარჯობაძე ხვიჩა, გაჩეჩილაძე გივი, გოგალაძე ჯურხა, გოგოლიძე ლევან, გოგოლაძე ვასილ, გოცირიძე კობა, გრძელივანიშვილი ერეკლე, დავითაძე ბეჟან, ერაძე ალექსანდრე, ზაუტაშვილი ნიკოლოზ, ზურაშვილი შაქრია, კობაური კობა, მეფარიშვილი დავით, მუხაშავრია გოჩა, მერებაშვილი ამირან, მანაგაძე დემურ, პეტრიაშვილი ბექა, ჟღენტი ოთარ, ჟღენტი თეიმურაზ, სამხარაძე ზაზა, სოლომონიძე ანზორ, სალუქვაძე გია, სტურუა ბახვა, ფარტენაძე დავით, შუბითიძე აკაკი, ჩილვინაძე ივანე, ჩიქვილაძე ზაზა, ჭეიშვილი დიმიტრი, ხუციშვილი ზურაბ, ძირკვაძე მერაბ, შენგელია მამუკა, გორგაძე მერაბ, გორდელაძე თემურ, ანანიძე ცოტნე, მოსიძე ზურაბ, შარაშენიძე გუბაზ, გოგიტიძე გედევან, ქველაძე ბადრი, კიკვიძე დავით, მოსიძე ზურაბ.

**ყინწვისის საქმესთან დაკავშირებით:** კეშელავა ოლეგ, გოგუაძე ნიკოლოზ, ჩარკვიანი ვარლამ, სისაური მახარე, ცილიკიშვილი მიხეილ, მაისურაძე მიხეილ, გვიმრაძე ზაზა, ალაჯანაშვილი გიორგი, ბეროშვილი გიორგი, გურული ბორის, თოდაძე კახაბერი, ცამბაია თეიმურაზ, ჩიტრეკაშვილი დავით, ჩიტრეკაშვილი ზურაბ, გუნდიაშვილი ჯემალ, შუკაკიძე დავით, ბესელია მამუკა, გელაშვილი ზურაბ, თუთარაშვილი დავით, ჩიგოგიძე ბადრი, ჩიგოგიძე ბაქარ, ჩარბაძე ირაკლი, ღვალაძე რამაზ, სურამელაშვილი ჯემალ.

**„დაიცავი საქართველოდან“:** მაისურაძე მერაბ, ლომიძე კონსტანტინე, დოლიძე ლევან, ჯოხაძე ანდრო.

**მუხროვანის საქმე:** გორგიაშვილი შოთა, ფოცხვერაშვილი ბესიკი, ჯაჭავაძე ზვიადი, თოფურიძე ირაკლი, ბეგონია ალექსანდრე, გრიგალაშვილი ბექა, ბიბილაშვილი ნიკოლოზ, მიქაძე ზურაბ, მურჯიკნელი ზაზა, საბაშვილი ვანო, საგინაშვილი ვაჟა, საგინაშვილი იმედა, ოთანაძე კობა, ხოხაშვილი პაატა, ბზიშვილი ზურაბ, სამადალაშვილი გიორგი, ჯოლბორდი კახა, დვალი კახა, ამირიძე ლევან, ხუცურაული ვაჟა.

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოდან“:** ნადირაძე მარლენ, ნაოჭაშვილი თეიმურაზ, წურიაშვილი სიმონ, ხარებავა ზვიადი, გრძელიძე დავით, ბაბილოძე ჯონი, ადამია დიმიტრი.

**„ენვერის“ საქმე:** გევორქიანი არმენ, გალოგრე რუსლან, შიკოიანი რუბენ, სკრილნიკოვი იური, აბდულაევი ედუარდ, მესხიძე დავით, კილურაძე ბაკურ, აბაშიძე ტარიელ, კაკაბაძე გელა, პლუჟნიკოვი ვიაჩესლავ, დიასამიძე გოჩა.

**„ქართული პარტიიდან“:** ბერიაშვილი თამაზ, იამანიძე შოთა, მერებაშვილი ფრიდონ, მახარაშვილი ვაჟა, გიგუაშვილი გალაქტიონ, ჯანჯალაშვილი ნიკოლოზ, ჩიხლაძე ჯიმშერ, ჩიხლაძე გიორგი, მაჭარაშვილი ხვიჩა, ჯამრელაშვილი დავით.

**„ქართული ოცნებიდან“:** მაკარაძე ზაურ, კობახიძე ზაზა, მუმლაძე რევაზ, ანჯაფარიძე თეიმურაზ, საჯაია ზურაბ.

**„სახალხო მართლმადიდებელი მოძრაობა“:** აფხაიძე შოთა, ბლიაძე ზვიად, ჩაჩუა ლევან, შალამბერიძე დავით, გაბედავა გიორგი, მაისურაძე რატი, გურჩიანი ჯაბა, ზუმბაძე ავთანდილ.

**„სამოქალაქო ფრონტი“:** ვაჩნაძე მელორ, ჟვანია ზაალი, გოგინაშვილი შალვა, გოგიჩაიშვილი ლევან, ჟვანია ლუარსაბ, დარასელია აკაკი.

**„გაერთიანებული ოპოზიცია“:** გორგიაშვილი ლევან, გორგიაშვილი ბესო, მასურაშვილი ვახტანგ.

**„ეროვნული ფორუმი“:** ჩალაური თევდორე, ნეფარიძე ზურა, სულაძე დიმიტრი.

**„კონსერვატიული პარტია“:** კვეზერელი ნიკოლოზ, ხაინდრავა კახა, ჯიქია ჯონი.

**„ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“:** თავშავაძე ჯუმბერ, ჟორდანია გურამ.

**„თავისუფალი საქართველო“:** ახალკაცი გიორგი, ბლიაძე პავლე, გველუკაშვილი მალხაზ, გოგიჩაშვილი გიგა, გოგლიჩიძე გიორგი, დევრიშაძე ფრიდონ, დემეტრაძე გიორგი, ზავრაშვილი გიორგი (რესპუბლიკური პარტია), ზერეკიძე გიორგი, თხელიძე ნანა, ლეონიძე ჯემალ, მაისაია ვახტანგ, მამედოვი კაზანფარ, მოლაშვილი თორნიკე, მურმანიშვილი ტარიელი, რამაზაშვილი ლუკა, რატიშვილი მერაბ, სალინაძე ბათუ, ტატიშვილი დავით, ყეინიშვილი ზაზა, შალიკიანი ზურაბ, ჩხენკელი ლაშა, წითელაშვილი ტრისტან, ჭუმბურიძე ალექსანდრე, ხვინთელიანი ბესარიონ, ალიმბარაშვილი დავით, ფარეშიშვილი მამუკა, შინჯიკაშვილი ზვიად, ყველაშვილი ივანე, სვანიძე პაატა, ლონდარიძე დავით, გორელაშვილი გიორგი, ჩაპლიგინი სერგეი, ექვთიმიშვილი გივი, გველესიანი შალვა, დალაქიშვილი ილია და ბაჩიაშვილი დავით.

**ინვესტორები და ჩვენ**

# რას აკვირდებიან ბიზნესმენები?

## ხელისუფლება იმედოვნებს, რომ მომავალი წელი შემოსული ინვესტიციების მიხედვით სარეკორდო იქნება

**ბოლო პერიოდში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ინვესტორებმა საკუთარ პროექტებზე უარი განაცხადეს. ასეთი ფაქტი დაფიქსირდა სხვადასხვა სფეროში — ენერგეტიკაში, სამშენებლო სექტორში, სასტუმროების ბიზნესში. რის საფუძველზე იღებენ ბიზნესმენები გადაწყვეტილებას და როგორია დღეს ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო?**

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ქუთაისიდან პარლამენტის ისევ თბილისში შესაძლო გადმოტანის შესახებ განცხადებების გაკეთების შემდეგ ინვესტორთა ორმა ჯგუფმა იმერთქალაქში ბრენდული სასტუმროს მშენებლობაზე საბოლოოდ განაცხადა უარი. ბიზნესმენებისთვის შემაფერხებელი აღმოჩნდა კაზინოების შესაძლო აკრძალვის თემაც.

ენერგეტიკაში მიმდინარე ცვლილებების შემდეგ ინვესტორებმა ჰესების აშენებაც გადაიფიქრეს. მტკვარიჰესისა და ფარავანჰესის ასაშენებლად ახალი ინვესტიციების მოზიდვაა საჭირო.

თუმცა, ეს ყველაფერი დროებითია და მკვეთრ პოლიტიკურ ცვლილებებს ყოველთვის უკავშირდება ხოლმე. ამიტომ სპეციალისტები და ბიზნესმენები არ ჩქარობენ დასკვნების გაკეთებას. ისინი მიიჩნევენ, რომ ბიზნესგარემოს შეფასება ერთი წლის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

სამშენებლო კომპანიებისა და ავტოდილერების ნაწილის განმარტებით, ამ ეტაპზე მხოლოდ უნდა გაანალიზდეს დინამიკა და არა შედეგი. ბიზნესგარემოს დალაგებას დრო სჭირდება, პირველი შედეგები ერთი წლის თავზე გამოჩნდება.

მათივე თქმით, თავდაპირველად შესასწავლია შრომის კოდექსი და მონოპოლიების თემა. ამასთან, „ბიზნესი უნდა იყოს თავისუფალი, რადგან ეს არის წინაპირობა პროგრესისა და განვითარების. მოლოდინი არის ოპტიმისტური“, — აცხადებენ ბიზნესის წარმომადგენლები.



„იბერია ბიზნეს ჯგუფის“ დამფუძნებლის ტარიელ ხეჩიკაშვილის განცხადებით, რეალურ შედეგებს ბიზნესი 2014 წელს დაინახავს. **„ეს მყისიერად ერთ თვეში არ მოხდება, თუმცა ამ მიმართულებით ნაბიჯები იდგმება. რაც შეეხება მოლოდინს, ის ძალიან ოპტიმისტურია, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველი ბიზნესმენია მთავრობის ხელმძღვანელი და სამაგალითოა როგორც ქველმოქმედებით, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით.**

**რაც შეეხება გასულ პერიოდს, ის ყველაზე რთული იყო თვითონ მთავრობისთვისაც, რადგან საკადრო პოლიტიკის ფორმირებას დრო სჭირდებოდა. ამიტომ ბიზნესთან ნაკლები ურთიერთობა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ძნელია პირველი ნაბიჯების განსაზღვრა, მაგრამ მოლოდინი არის ოპტიმისტური და დარწმუნებული ვარ, რომ ბიზნესი ძალიან კარგი ტემპით წავა წინ“,** — აცხადებს ხეჩიკაშვილი.

სხვათა შორის, პოზიტიური ინფორმაციები ვრცელდება დიპლომატიური არხებითაც. მალე საქართველოში ყირგიზული ბიზნეს ჯგუფი ჩამოვა, ხოლო იანვარში კი ქვეყანას ყაზახური ბიზნეს დელეგაცია ეწვევა. ამ განცხადებას „კომერსანტთან“ საუბრისას ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში საქართველოს ელჩი დავით მუმლაძე აკეთებს. მისივე შეფასებით, ხელისუფლების ცვლილებას საინვესტიციო გარემოზე გავლენა არ მოუხდენია.

**„მათ უკვე მიიღეს პირველი სიგნალები ახალი ხელისუფლებისგან, ინვესტორებმა იციან, რომ ახალი ხელისუფლება ბიზნესის მიმართ დადებითადაა განწყობილი. ასევე მათი სურვილია, კონსალტინგჯგუფებს შეხვდნენ“,** — აცხადებს მუმლაძე. მისივე თქმით, საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე მოთხოვნა ყაზახეთისა და ყირგიზეთის მხრიდან დღითი დღე იზრდება და ხელისუფლების ცვლილებას მათი შეშფოთება არ გამოუწვევია.

**ოპტიმისტურადაა განწყობილი საქართველოს მთავრობაც. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, მათ აქვთ სერიოზული გარანტიები იმისა, რომ მომავალი წელი შემოსული ინვესტიციების კუთხით რეკორდული იქნება. ნოდარ ხადურის თქმით, ინვესტიციებზე სერიოზული განაცხადები უკვე კეთდება, პროცესები დაწყებულია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები.**

**გიორგი ბექაური**

**რეიტინგი**

# პრეზიდენტის ინსტიტუტისა და პოლიციისადმი ნდობა შემცირდა

**პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ინსტიტუციებისადმი ნდობის რეიტინგში მეოთხედან მეთერთმეტე პოზიციაზე გადაინაცვლა.**

48%-ით მე-11 ადგილზეა, მაშინ როცა ივლისის ანალოგიურ კვლევაში ის 69%-ით მეოთხე ადგილზე იყო წარმოდგენილი.

ინტიტუციებს შორის ნდობის ყველაზე მაღალი ხარისხით კვლავ ეკლესია გამოირჩევა, რომელსაც ნდობას გამოკითხულთა 94% უცხადებს. ეკლესიას გაზრდილი 91%-იანი რეიტინგით არმია მოჰყვება, რომელსაც ივლისის კვლევის თანახმად, ნდობას რესპონდენტთა 89% უცხადებდა. ივლისის კვლევასთან შედარებით შემცირებული რეიტინგით მესამე ადგილს პოლიცია ინარჩუნებს - 84%-იანი ნდობით.

რეიტინგებში მეოთხე ადგილი პარლამენტმა დაიკავა, რომელსაც ნდობას 82% უცხადებს და რომელსაც ივლისის კვლევაში გამოკითხულთა მხოლოდ 65% ენდობოდა.

რეიტინგებში ინსტიტუციების ჩამონათვალი ასე გრძელდება: — მინისტრთა კაბინეტი 81%, მედია — 77%, პროკურატურა — 61%, განათლების სისტემა — 58%, სასამართლოები — 55%, ცენტრალური ბანკი — 53%.

ცენტრალურ ბანკს პრეზიდენტის ადმინისტრაცია 48%-იანი რეიტინგით მოჰყვება. შემდეგ კი არიან: პოლიტიკური პარტიები — 47%-იანი რეიტინგით. ნდობის მხრივ იგივე მაჩვენებელი აქვს ომბუდსმენის ოფისსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

ადგილობრივი მთავრობების ნდობის რეიტინგი 42%-ია, ხოლო გამოკითხულთა 41% მის მიმართ არაკეთილგანწყობილია. გუბერნატორები რეიტინგებში 33%-იანი მხარდაჭერით სარგებლობენ და მათ მიმართ უფრო მეტი — 40% არაკეთილგანწყობას გამოხატავს.

სულ ბოლო პოზიციაზეა პროფკავშირები - 20%-იანი კეთილგანწყობითა და 41%-იანი არაკეთილგანწყობით.

**ინტერპრესნიუსი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

*რატომ აზარალა თავისი ანგარებიანი გადაწყვეტილებით საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი მელაძემ სახელმწიფო ბიუჯეტი სულ მცირე თორმეტი მილიონი ლარით? რატომ არავინ არ სთხოვს მას ამისთვის პასუხს და, რაც მთავარია, რად არ კეთდება არაფერი ვითარების გამოსასწორებლად? — ამ კითხვით მივმართავთ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციებს, პარლამენტს, იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრებს, კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას...*

*ამ სათაურ-ქვესათაურით დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის" 2011 წლის 25 მარტის ნომერში სარედაქციო სტატია, რომელშიც საუბარი იყო ერთ მეტად მტკივნეულ და საქმისთვის ყოველმხრივ საზარალო პრობლემაზე — მონოპოლიაზე. და თუმცა, ყოფილი ხელისუფლება მუდამ კატეგორიულად უარყოფდა ეკონომიკის რომელიმე დარგსა თუ, ზოგადად, ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის ნებისმიერ უბანზე მის არსებობას, აღნიშნული პუბლიკაციითაც ნათლად ჩანს, რომ იგი ყველგან, თუნდაც მასმედიაშიც, არამცთუ უბრალოდ არსებობდა, არამედ, თავის დროზე ლენინზე ნათქვამისა არ იყოს, ყველა ცოცხალზე ცოცხალიც იყო.*

*ამაში მკითხველი ჩვენი შარშანდელი პუბლიკაციითაც დარწმუნდება, რომელსაც დღეს უცვლელად გთავაზობთ.*

# სანამ უნდა აზარალებდეს ბიუჯეტს მავანთა ანგარებიანი გარიგება-გადაწყვეტილება?

## „გაახლებული" ძველი პუბლიკაცია, რომელშიც წამოჭრილ პრობლემას ახლა მაინც უნდა მიექცეს ყურადღება

**გუშინწინ** ტელევიზიით კიდევ ერთხელ გადაიცა სიუჟეტი სახელმწიფო სახსრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების თაობაზე: იმისთვის, რომ, როგორც ეს კონტროლის პალატის შემოწმებით გამორკვეულა, 2007 წლიდან მოყოლებული, აგრარულ უნივერსიტეტში ტენდერის არასწორად, ანგარებიანი მიზნებით ჩატარების გამო სახელმწიფო ბიუჯეტს მილიონ თერთმეტი ათასი ლარი დაუკარგავს, საქმეში უკვე პროკურატურა ჩარეულა. წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს უნივერსიტეტის ყოფილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კიდევ რამდენიმე იქაური მუშაკი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რამდენიმე წარმომადგენელიც. გამოძიებით, ალბათ, ყველაფერი დადგინდება.

მილიონ თორმეტი ათასი ლარის დატაცებისა თუ გაფლანგვისთვის დამნაშავენი, ცხადია, უნდა დაისაჯონ, მაგრამ თავისი ერთი ანგარებიანი გადაწყვეტილებით ბიუჯეტისთვის სულ მცირე ათჯერ მეტი ზარალის მიმყენებელ საჯარო მოხელეს ხომ ასევე ათჯერ მეტად უნდა მოეკითხოს?

ის კიდევ, პასუხი აგოს კი არა, პარლამენტის ტრიბუნიდან გვმოძღვრავს გამუდმებით და გვიდგენს „სამართალს".

ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეზე მოგახსენებთ, გიორგი მელა(ძე)ზე.

სწორედ მან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თამჯდომარედ მუშაობისას, თავისივე ბრძანებით 2005 წლის 11 სექტემბრისთვის დანიშნა ტენდერი, რომელსაც უნდა გამოევლინებინა ის ყოველდღიური გაზეთი, ყველაზე იაფად რომ გამოაქვეყნებდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სატენდერო განცხადებებს.

ანგარებიანი გადაწყვეტილებით ტენდერმა, რომლის კომისიის თავმჯდომარეც უფალი მელა(ძე) ბრძანდებოდა, „გამარჯვებულად" გამოაცხადა გაზეთი — „24 საათი", რომელიც თავისი ფართის ყოველი კვადრატული სანტიმეტრისთვის 21 აშშ ცენტის ეკვივალენტს ითხოვდა ლარებში (მაშინდელი კურსით — 38,4 თეთრს).

„საქართველოს რესპუბლიკამ" კი, რომელმაც გაითვალისწინა, რომ საქმე ეხებოდა საბიუჯეტო ორგანიზაციებს და, შესაბამისად, სახელმწიფო სახსრებს, ქვეყნისთვის მათი შეძლებისდაგვარად დაზოგვის მიზნით და იმისთვისაც სამადლობლოდ, რომ ხელისუფლებამ მაშინ პრესა გადასახადებისგან გაათავისუფლა, თავისი ყოველი კვადრატული სანტიმეტრისთვის ბევრად ნაკლები — მხოლოდ 10 თეთრი მოითხოვა.



ყოველგვარი კომენტარის გარეშეც ხომ ნათელია, მკითხველო, რაოდენ „ობიექტურად" ჩატარებულა ის „ტენდერი" და როგორაც „გაფრთხილებია" საბიუჯეტო სახსრებს მაშინდელი მაღალჩინოსანი საჯარო მოხელე გიორგი მელა(ძე)?

მაინც კონკრეტულად რამდენით აზარალა ბიუჯეტი ჩვენმა ამჟამინდელმა კანონმდებელმა „მოძღვარმა" თავისი იმჟამინდელი ანგარებიანი გადაწყვეტილებით?

ამის გასარკვევად დავთრებში დიდხანს რომ არ ვიქექოთ, „24 საათის" თუნდაც გუშინდელი, 24 მარტის ნომერი ავიღოთ, რომლის 24 გვერდზეა გამოქვეყნებული საბიუჯეტო ორგანიზაციათა სატენდერო განცხადებები. ეს ამ გაზეთის საგაზეთო ფართობის 24 ათასი კვადრატული სანტიმეტრია.

გაამრავლეთ, პატივცემულო მკითხველნო, ეს ციფრი 21 აშშ ცენტის დღევანდელ ეკვივალენტზე, მიღებული 35,7 თეთრი (არადა, გეხსომებათ, 2005 წლის შემდგომ პერიოდში ზოგჯერ ერთი აშშ დოლარი ამჟამინდელივით 1,7 ლარი კი არა, ორი და მეტი ლარიც ღირდა, რითაც „24 საათისთვის" გადასახდელი თანხაც, ცხადია, საგრძნობლად იზრდებოდა) კი — 24 ათასზე, ხოლო მიღებული ციფრი არა ოცდაათზე (სწორედ ამდენჯერ გამოდის ეს გაზეთი თვეში), არამედ, თუნდაც მხოლოდ ოცზე,

მიიღებთ წელიწადში 2.056.320 ლარს.

„საქართველოს რესპუბლიკაში" კი მათი პუბლიკაცია 576 ათასი ლარი დაჯდებოდა!

ეს, ვიმეორებთ, მიახლოებითი საშუალო მაჩვენებელია. თანაც, ამჟამინდელი, ადრინდელზე საგრძნობლად დაბალი კურსით ნაანგარიშევი.

უფალი მელა(ძე) კი სახელმწიფო ინტერესების დამცველის მანტიამოსხმული გვმოძღვრავს და მორალს გვიკითხავს პარლამენტის ტრიბუნიდან!

ჩვენ სულაც არ ვაპირებთ იმავეს გაკეთებას მასთან მიმართებაში!

უაზრობაა!!

ამიტომაც მოვითხოვთ ყურადღებას და რეაგირებას ამ პუბლიკაციის ქვესათაურში აღნიშნული სახელმწიფო ხელმძღვანელ-მაკონტროლებელი ორგანოების თავკაცთაგან:

ბატონებო, ვფიქრობთ, თქვენც დაგვეთანხმებით, რომ ის ორი მიზანი, რომლის მიღწევასაც წინამდებარე პუბლიკაცია ისახავს, უთუოდ ყურადსაღებია.

პირველი ის არის, რომ დიდძალი საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც მავანის უგუნური თუ ანგარებიანი გადაწყვეტილებით წყალში იყრება (უფრო სწორად, მავანთა ჯიბეში ილექება), სახელმწიფო საქმეს მოხმარდეს.

და მეორე: ამის მისაღწევად დროა, ბოლო მოეღოს მონოპოლიას (ამ შემთხვევაში მელა(ძი)ს მიერ უკანონოდ დაკანონებულს), რითაც, როგორც ვნახეთ, საქვეყნო საქმე ზარალობს.

დაბოლოს, ერთი კითხვაც: ტენდერი, რომლის „გამარჯვებულის" ტახტზეც მელა(ძი)ს ხელდასხმით აგერ უკვე ექვსი წელია, მორჭმით ზის „24 საათი", არასოდეს აღარ უნდა ჩატარდეს?!

სამიდღემშიოს ხომ დღეს პრეზიდენტსაც ვერ იტანენ თვით არაბულ სამყაროშიც კი?

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია*

* * *

**ამ პუბლიკაციიდან განვლილი წელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ქვეყანაში რადიკალური ხასიათის ძირეული ცვლილებები მოხდა, მაგრამ წინა ხელისუფლების ლოცვა-კურთხევით ანგარებასთან შეუღლებული მონოპოლიის შეხმატკბილებულ თანაარსებობას ჯერაც არაფერი დამუქრებია.**

და განა მხოლოდ მასმედიაში! ასეა ყველგან, ყველა დარგსა თუ უბანზე!

**ამიტომაც არის, რომ ჯერჯერობით ჭირს „ქართული ოცნების" არჩევნებისწინა დაპირებების სრულად ხორცშესხმა.**

თუმცა დანაპირებ-განზრახულის სრულად განხორციელება კი არა, მეტნაკლებად ხელშესახები წინსვლაც ერთობ გაჭირდება მონოპოლიის აღმოუფხვრელად.

მით უფრო, ორხელისუფლებიანობისას, როდესაც სხვათა დასანახად პირმლიმარედ მოუბარი „მთავრობის კეთილმოსურნენი" მუდამ მზად არიან მისთვის კვანტის დასადებად.

წინა ხელისუფლება მასმედიაში რომ მფარველობდა მონოპოლიას და, თავისთვის სასურველი უკუგების მიღების მიზნით, ტენდერ-კონკურსებად შენიღბულ-შეფუთული ღონისძიებებით რომ ამარჯვებინებდა და მონოპოლიის სიკეთეებით ასარგებლ-აზულუქებდა თავის მხარდამჭერ ვითომ თავისუფალ და დამოუკიდებელ ისეთ გამოცემას, როგორიც გაზეთი „24 საათია", ეს ვფიქრობ, დღევანდელი პუბლიკაციიდანაც კარგად ჩანს.

ასევეა მარტო ბეჭდვით კი არა, ელექტრონულ მედიაშიც, სადაც მთლიანადაა მონოპოლიზებული თუნდაც სარეკლამო ბიზნესი, რომლის შემოსავალი მთლიანად ძველი ხელისუფლების ჯიბის ტელევიზიებში მიდიოდა. ისინიც, თავის მხრივ, იქ **„გაკეთებული ახალი ამბებითა"** თუ **„მოდელირებული „ქრონიკებით"** და ხალხის დამაბოლებელ-დამბანგველი გადაცემებით უხდიდნენ მადლობას პატრონებს. ამიტომაც პატიობდა და ჩამოაწერდა მათ ხელისუფლება ათობით მილიონიან საბიუჯეტო დავალიანებას მაშინ, როდესაც „კავკასიას" სამიოდ ლარის დავალიანებისთვის ანგარიშს უყადაღებდა, იმ ბიზნესმენებს კი, ვინც არა „მათს" ტელევიზიაში გაბედავდა რეკლამის მიტანას, ბიზნესს უტერორებდა.

**და, როგორც ვთქვით, ასევე იყო ყველგან და ყველაფერში!**

ავიღოთ, თუნდაც, საწვავი: თუ არა ამ სფეროში გამეფებული მონოპოლია და კარტელური გარიგება, როგორ ხდებოდა და ხდება, რომ ყველა ძირითადი ნავთობკომპანია ერთდროულად და ერთნაირი ოდენობით აძვირებდა თუ აიაფებდა საწვავს?

თუ არა ეს, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, როგორ უნდა გავიგოთ თუნდაც ის, რომ, ვთქვათ, აზერბაიჯანიდან შემოტანილი ბენზინი თუ დიზელის საწვავი იმდენივე ღირს, რამდენიც იტალიიდან თუ საბერძნეთიდან შემოტანლი? რაო, **თუნდაც ტრანსპორტირებისთვის გაწეული განსხვავებული ხარჯები არ უნდა იძლეოდეს ფასებში თუნდაც მცირეოდენ განსხვავებას?**

თუმცა, თემას ავცდით. ბეჭდვითს მედიაში ხელისუფლება რომ მფარველობდა მონოპოლიას, ამას ვფიქრობთ, კარგად ადასტურებს დღევანდელი პუბლიკაციაც და ისიც, რომ ჩვენი მრავალგზისი მიმართვის, მიუხედავად, მას, ერთგვარი ჟარგონით თუ ვიტყვით, ყურიც არ გაუპარტყუნებია.

**პირიქით, რაკი ტენდერ-კონკურსების გამოცხადების შესახებ განცხადებების თუ სხვა ანალოგიური ხასიათის მასალების გამოქვეყნების უფლება 2005 წელს მთლიანად და განუყოფლად ჩაუგდო ხელში „თავის" გაზეთს — „24 საათს", მას მერე, დღემდე არც ჩაუტარებია კონკურსი ამ მასალების დამბეჭდავი, თუნდაც უკეთესი, უფრო იაფი და ბიუჯეტისთვის მეტი სარგებლის მომცემი სხვა გაზეთის გამოსავლენად.**

**და ამის მერეც უსირცხვილოდ ამტკიცებენ, ჩვენში მონოპოლია არც ყოფილა და არც არისო.**

ხოლო, როდესაც შარშანდელი პუბლიკაციით ვუთხარით, რომ არსებობდა, და ის მასალა, სათანადო მიმართვებითურთ, განსახილველად გავუგზავნეთ კიდეც სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს, შედეგი ნულის ტოლიღა მივიღეთ: **პარლამენტის ხელმძღვანელობას იგი, მრავალი შეხსენების მიუხედავად, არც განუხილავს, პრემიერ-მინისტრმა, როგორც მის აპარატში გვითხრეს, საქმეში გაუშვა, ჩამოწერა, კონტროლის პალატამ არაფრისმთქმელი პასუხი გამოგვიგზავნა, ეკონომიკის სამინისტრომ კი, უბრალოდ, თავიდან მოგვიშორა...**

რას ვიზამთ, მონოპოლია, თანაც „ზემოდან" „დაკრიშული", მართლაც, უკვდავი თუ არა, უძლეველი მაინც არის. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ იქ „ზემოთ", კარგად სხედან...

**ამიტომაც გვსურს, რომ ახალი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ყურადღება მივაპყროთ ამ ფაქტს და სათანადო რეაგირებაც ვთხოვოთ.**

**„სრ" რედაქცია**



თქვენი წერილის (2011 წლის 4 აპრილი, N1/16) პასუხად გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვებზე გამოცხადებული ტენდერის ელექტრონული წესით ჩატარებას, რაც უზრუნველყოფს პროცესის საჯაროობას და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობის დონის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

პატივისცემით,

დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი ლევან ალაფიშვილი



0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 99 11 05; 99 11 11
Fax: (+995 32) 921534

№ 04/7966

20 / აპრილი / 2011 წ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ს
თბილისი, ახვლედიანის ქ. №19

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი 2011 წლის 04 აპრილის № 1/14 წერილი, რის თაობაზეც გაცნობებთ, რომ წერილში დასმული საკითხის გადაწყვეტა სცილდება სამინისტროს კომპეტენციას.

იურიდიული დეპარტამენტი, დეპარტამენტის უფროსი ვახტანგ ბოცვაძე



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№235. პარასკევი, 7 დეკემბერი, 2012 წელი.

# არეული ფიქრები...

**წინასაარჩევნო პერიოდში და, მით უმეტეს, არჩევნების შემდეგ, თბილისელებს „ბჭობის სენი“ შეეყარათ — ფიქრობენ და კამათობენ ყველაფერზე, რაც არჩევნებს მოჰყვა. დაძაბული განსჯის თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი რაღაც სისტემაში მოქცევა ძალიან ძნელია, ამიტომაც ჩემს მოსაზრებებს „არეულად“ მოგახსენებთ.**

## არეული ფიქრები... - 1

**„პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ — როგორია ეს ახალი პოლიტიკური გაერთიანება? რა იდეოლოგიის მატარებელია? საარჩევნო პროგრამა ოდნავ და, ამასთანავე, საკმაოდ ბუნდოვნად თუ მიანიშნებს მის არსებობაზე, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით — ჯერ ზედაპირზე არსებულს შევეხოთ.**

უახლესი ისტორია გვასწავლის, რომ პარტიის წევრთა ოპტიმალური რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობის 0.1% უნდა იყოს. წევრთა ამ რაოდენობაზე მეტი საშიშ კრიტიკულ მასას ქმნის, ვინაიდან მოასწავებს პარტიაში მარგინალების მოზღვავებას. ასეთი პროცესი, როგორც წესი, გარდუვალია. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ მარგინალიზაცია ამახინჯებს ჯერ პარტიის პრაქტიკულ საქმიანობას — მისი ღონისძიებების შინაარსს და სულისკვეთებას, მერე მას მთლიანად ხრწნის. ეს კი, ბუნებრივია, კლავს პარტიას — პოლიტიკურ სივრცეში მისი არსებობის ობიექტურ აუცილებლობას სათუოს ხდის.

„ოცნებისთვის“ დღეს ამაზე დაფიქრება აუცილებელია, ვინაიდან პარტიის რიგებში შემოღწეული უპრინციპო კონფორმისტ-მედროვეები — მარგინალები გამოირჩევიან შესაშური ენერგიულობით, უპრინციპობითა და არაკომპეტენტურობით. მათი შემტევი ბუნება პარტიაში გაწევრების სურვილით შეპყრობილ ინტელიგენტ, კომპეტენტურ, თავშეკავებულ ადამიანებს აბრკოლებს. უპირველესად თვით პარტიული სტრუქტურა უნდა ასახავდეს პარტიაში უპრეცედენტო დემოკრატიის მაგალითს — ასეთ გარემოში მარგინალები დიდ ხანს ვერ ძლებენ. 25 ნოემბრისთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, ყალიბდება თუ არა „ოცნების“ პარტიული სტრუქტურა, იქნება თუ არა მასში შიდა დემოკრატიული მართვა (ვერტიკალური და ჰორიზონტული შიდაპარტიული კომუნიკაციების სისტემებით), მაგალითად ყრილობა თუ კონფერენციების სისტემა, მაკონტროლებელი და სარევიზიო ორგანოები, შიდაპარტიული არბიტრაჟი და სამედიატორო სასამართლო, პოლიტიკური, ასევე რეგიონალური და რაიონული წარმომადგენელთა საბჭო და ა.შ.

გარდა ამისა, ხელისუფლებაში მოულოდნელად მოსულ პოლიტიუკურ გუნდ—პარტიას უჩნდება სასწრაფოდ გადასაწყვეტი მთავარი პრობლემა: რა უნდა აკეთოს პარტიამ პარლამენტის და მთავრობის საქმიანობის ფონზე? ასეთ ვითარებაში პარტიები ხშირად იწყებენ მოსახლეობისთვის მთავრობის და პარლამენტის საქმიანობის შესახებ ადაპტირებულ თხრობას. ეს „საქმიანობა“ უფრო უსუსურ ფუსფუსს ჰგავს, ვიდრე ნამდვილ გამალებულ პოლიტიკურ შრომას. ამასთანავე ასეთი ვითარება მშვენიერი ნიადაგია ისევ და ისევ მარგინალებისთვის, რაც პარტიის დისკრედიტაციას და მისი დასასრულის დასაწყისს ნიშნავს.

ხელისუფლებაში მოსული გუნდის წმინდა პოლიტიკური ფრთა (პარტია თავისი სტრუქტურით და აქტივით) ხელისუფლებისთვის თანაშემწე-კონსულტანტის, მრჩევლის და პოლიტიკური კურატორის ფუნქციას უნდა ასრულებდეს. მხოლოდ პოლიტიკურ პარტიას ძალუძს მოსახლეობასთან უშუალო, მჭიდრო და გულახდილი კონტაქტი; ხელისუფლებისთვის სასარგებლო ექსპერტების და ექსპერტთა ჯგუფების მოზიდვა; სოციოლოგიური კვლევების და მონიტორინგების ორგანიზება; პარტიის გულშემატკივარ-მომხრეების ორგანიზება და მათი აღრიცხვა... საერთოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის ბევრი სხვა პრაქტიკულად და იდეოლოგიურად სასარგებლო საქმის კეთება. ხელისუფლების საქმიანობის შესახებ განმარტება-აგიტაცია, რასაკვირველია, არ ქრება, მაგრამ აუცილებლად უკანა პლანზე გადადის. ასეთი თვითშეზღუდვა პარტიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუკი განმარტება-აგიტაცია საერთოდ სახსენებელია — ეს უფრო ნაციონალურ მოძრაობასთან საინფორმაციო ომის კონტექსტში ითქმის, ვინაიდან სადღეისოდ, „ნაციონალებისგან“ განსხვავებით, „ოცნება“ საინფორმაციო ომს საერთოდ არ აწარმოებს. რაც შეეხება ზევით ნახსენებ იდეოლოგიას. მთავრობითვის და პარლამენტისთვის გაწეული კონსულტაცია, ორგანიზაციული დახმარება და პრინციპული კონტროლი იდეოლოგიური „ფილტრის“ გარეშე შეუძლებელია. სხვა შემთხვევაში პარტიაც და მასთან ერთად ხელისუფლება იაფასიან პოპულისტურ დინებაში ჩაეშვებიან...

## არეული ფიქრები... - 2

**უმაღლესი განათლების სისტემაში ხელოვნების მიმართულებას ცალკე და სრულიად განსხვავებული ადგილი უჭირავს. ბაკალავრიატი თუ მაგისტრატურა, ზოგადად უკვე დამკვიდრებული ეს ფორმალური გრადაციები, ხელოვნებისთვის მიუღებელია. თუ კლასიკური ბალეტის სწავლება ბავშვობიდანვეა უპირველესი და კატეგორიული აუცილებლობა, ხოლო ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედის არსებობა სრულიად ბუნებრივია (თუმცა კი არასაკმარისი), თეატრის (და მასთან ერთად კინოს) მიმართულება ტრადიციულად, ყოველთვის იჩაგრებოდა. ამიტომაც, სწორედ მასზე შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება.**

მსახიობის ან რეჟისორისთვის ბაკალავრიატი თუ მაგისტრატურა — სრული უაზრობაა: მაგისტრი ბალერინა ან ბაკალავრი გობოისტი, მაგისტრი ტენორი ან ბაკალავრი არფისტი ნორმალური ადამიანისთვის ისეთივე ძნელად წარმოსადგენია, როგორც მაგისტრი მსახიობი... ბაკალავრიატ-მაგისტრატურის მხოლოდ ფორმალური არსიც კი ანტიშემოქმედების გამღვივებელია.

რასაკვირველია, კარგია, თუ შემოქმედი ადამიანი დიდად განათლებული ინტელექტუალია. მაგრამ, ამასთანავე, ეს არ არის ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის, მისი ნიჭის ზრდის და განვითარების კატეგორიულად აუცილებელი პირობა. მოკლედ, შემოქმედებასთან ინტელექტის თანაარსებობა იშვიათი დამთხვევაა და ამავე დროს ეს თვით ადამიანზეა დამოკიდებული. მისთვის ამის უპირობოდ მოთხოვნა სისულელეა — პასუხად მისგან მხოლოდ თვალთმაქცობას და სიყალბეს მივიღებთ.

არ მინდა, რომელიმე ქართველ მსახიობს გული ვატკინო ან მათი ნათელი ხსოვნა შევლახო, ამიტომ რუსი მსახიობების დიდი ჩამონათვალიდან მხოლოდ ნიკოლაი გრიცენკოს და ევგენი ევსტიგნეევის მაგალითს მოვიყვან. ამ უნიჭიერეს მსახიობებს არათუ ღრმა ინტელექტით — დამაკმაყოფილებელი განათლებითაც კი არ შეეძლოთ დატრაბახება. მაგრამ, მათი ბუნებრივი ნიჭისა და შემოქმედებითი ინტუიციისთვის საზღვარი თითქმის არ არსებობდა. იშვიათი გამონაკლისის სახით საპირისპირო შემთხვევებიც ვიცით, მაგალითად ალა დემიდოვა ან სერგეი იურსკი. და ისევ, ეს იშვიათი გამონაკლისი მხოლოდ ერთს გვიკარნახებს: შემოქმედებასთან ინტელექტის თანაარსებობა თვით ადამიანის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამისთვის კი ბაკალავრიატ-მაგისტრატურის ჩარჩოები ზედმეტი და მავნეა. საკუთარ თავზე მუშაობისთვის ფაკულტატიური კურსის მოსმენაც საკმარისია.

მომავალი მსახიობისთვის ე.წ. პროფესიული უნარ-ჩვევები დიდ პრობლემას წარმოადგენს. მხედველობაში მაქვს, მაგალითად, სასცენო მოძრაობა-პლასტიკა და, რასაკვირველია, სასცენო მეტყველება. მომავალი რეჟისორებისთვის კი სპექტაკლის თუ ფილმის ტემპო-რიტმი, ფრაგმენტული და საერთო კომპოზიცია, რაც რეჟისორული აზროვნების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. შესაძლოა, უმაღლესი შემოქმედებითი განათლების სისტემაში ბაკალავრიატ-მაგისტრატურის „მახრჩობელა“ ფორმალური ჩარჩოებია ამ პრობლემების ერთ-ერთი სათავე...

თეატრალური უმაღლესი სასწავლებელი ყოველთვის დაკავებული იყო არა მარტო პროფესიული მომზადებით — მას სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციაც გააჩნდა. ამის განმარტებისათვის ერთი აბზაციც საკმარისია: ყველასთვის გასაგებია, თუ რატომ არსებობს ინტრიგებისთვის ნაყოფიერი გარემო პილიტიკაში. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ასეთივე ნაყოფიერი გარემოა თეატრშიც. ამასთანავე თეატრალური ინტრიგები პოლიტიკურს ვერ შეედრება მათი საოცრი დახვეწილობით. ისიცაა აღსანიშნავი, რომ პოლიტიკისგან განსხვავებით, თეატრალური ინტრიგები დასის ცხოვრების ყოველდღიურ, რუტინულ შემადგენელს წარმოადგენენ, ვინაიდან ხელოვნების ეს მიმართულება ბუნებრივად ავტორიტარულ მართვაზეა დაფუძნებული. ამიტომ, გარდა მსახიობებისა და რეჟისორების პროფესიული აღზრდისა, ადრინდელი თეატრალური ინსტიტუტი მათ თეატრალური ცხოვრებისთვისაც ამზადებდა: ასწავლიდა პროფესიულ ეთიკას, უნერგავდა მეტად სპეციფიური თეატრალური შინა განაწესისადმი მზადყოფნას. ეს კი, ახალბედა შემოქმედისთვის რთულ თეატრალურ რეალობასთან შეხვედრისთვის მზადყოფნას ნიშნავდა. დღეს ასეთი აუცილებელი ტრადიცია დაკარგულია...

და ისევ ბაკალავრიატ-მაგისტრატურის „მახრჩობელა“ ჩარჩოების თაობაზე: ხელოვნების უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა მიიღონ ექსკლუზიური სასწავლებლების სტატუსი და მთლიანად მოექცნენ კულტურის სამინისტროს „პატრონატის“ ქვეშ. ასეთი ინიციატივა განათლების სამინისტროს პრეროგატივაა.

## არეული ფიქრები... - 3

**მართლაც რომ არეული ფიქრებია — ისევ „ოცნებას“ ვუბრუნდები... ნაციონალურ მოძრაობასთან საინფორმაციო ომს ივანიშვილის გუნდი აგებს.** „მაესტროს“ ეთერში ამაზე ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე დიდხანს საუბრობდა — ზედაპირული „ანალიზი“ გამოუვიდა, რაც გასაკვირი არ არის: ფსიქოლოგია საინფორმაციო პოლიტიკის მხოლოდ მცირედი ნაწილია. ამ სტატიის პირველ ნაწილში ჯერ არარსებულ „ოცნების“ პარტიულ სტრუქტურას შევეხე. რუსეთში საინფორმაციო პოლიტიკის ექსპერტად ჩემი მუშაობის პეერიოდში ასეთი პრობლემა არ არსებობდა. რუსეთის დემოკრატიული პარტიის „იაბლოკოს“ ცენტრალურ აპარატში საინფორმაციო პოლიტიკის ცალკე განყოფილება იყო. უფრო მეტი: პარტიის ზოგიერთ რეგიონალურ განყოფილებებშიც იყო საინფორმაციო პოლიტიკის განხრით მომუშავე ჯგუფები, კერძოდ სანკტ-პეტერბურგში. ეს ადამიანები მეტწილად პოლიტტექნოლოგები იყვნენ. ისინი თავისებურად აჯამებდნენ მრავალ ინფორმაციას და რეკომენდაციას: მასობრივი ინფორმაციის მონიტორინგის ჯგუფის მონაცემებს, სოციოლოგ ფსიქოლოგების, ფსიქოლოგ ლინგვისტების, ეკონომისტების, პოლიტოლოგების და სხვა ექსპერტების რეკომენდაციებს. ამრიგად, საინფორმაციო პოლიტიკის გუნდი მიღებული ინფორმაციის შეჯერებით ადგენდა ვის, როდის, სად, როგორ და რაზე უნდა ელაპარაკა ან დაეწერა. ვის — ე.ი. პარტიის ლიდერს თუ პარტიის რომელიმე სხვა წევრს; როდის — ე.ი. გარკვეული მოვლენის კვალდაკვალ თუ წინმსწრებად; სად — ე.ი. რომელ ქვეყანაში და რისი მეშვეობით — ინტერვიუ, პრესკონფერენცია თუ სხვა რამ; როგორ — ე.ი. რა რიტორიკით, რა სტილისტიკით და როგორი ტაქტიკით; რაზე — ე.ი. მხოლოდ ერთი საკითხის გარშემო თუ, დავუშვათ, საერთო მიმოხილვის ფონზე. ამასთანავე კეთდებოდა იმის ანალიზიც თუ როგორ უნდა ყოფილიყო ჩაცმული გამომსვლელი, ან რა ფოტო უნდა გამოქვეყნებულიყო, უნდა ჰყოლოდა მას გარემოცვა თუ არა და ა.შ. დღეს უფრო მეტად ლაპარაკობენ ქვეყნის გარეთ მიმდინარე საინფორმაციო ომზე. მაგრამ „ოცნების“ საინფორმაციო პოლიტიკა მოიკოჭლებს ქვეყნის გარეთაც და მის შიგნით. საერთოდ საინფორმაციო პოლიტიკა არ უნდა იყოფოდეს საშინაო და საგარეო მიმართულებებად — საბოლოო ანგარიშით ეს წამგებიანია. გამონაკლის შემთხვევებში გამიჯვნა დასაშვებია, მაგრამ საგარეო და საშინაო ინფორმაციების „სხვაობა“ (მხოლოდ ნიუანსების დონეზე) არ უნდა აღემატებოდეს 10-18%. ისიც კი არ არის ცნობილი (თუმცა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია) — არსებობს კი საერთოდ ამაზე პროფესიულად მომუშავე თუნდაც ერთი ადამიანი... ალბათ არ არსებობს, რადგან ჯერ არ არსებობს თვით პარტია მისი სტრუქტურით...

## არეული ფიქრები... - 4

**სულ პატარა, მაგრამ მეტად აქტუალური მოსაზრება ტარიფების თაობაზე.** ბელორუსიაში, რუსეთში და უკრაინაში ჩვეულებრივი ჩაიდანი წყალს ადუღებს გაცილებით სწრაფად, ვიდრე საქართველოში. რატომ? რატომ ტრიალებს ჩვენთან ბუნებრივი გაზის მრიცხველი უფრო დიდ ხანს და გვიმატებს გადასახად თეთრებს? რატომ გამოირჩევა გაზქურაში ჩვენი ბუნებრივი გაზი მისი ფერით — რატომ არ ჰგავს ალს ბელორუსიაში, რუსეთში ან უკრაინაში? იბადება უბრალო კითხვა: ჰაერს ხომ არ ურევენ ჩვენს ბუნებრივ გაზში და ჩვეულებრივი ჰაერის მეშვეობით ხომ არ გვძარცვავენ? იქნებ ბუნებრივ გაზზე ტარიფის დაკლება არცაა საჭირო და საკმარისია მხოლოდ ბოლო მოეღოს მის გაზავებას?

## არეული ფიქრები... - 5

**ახალი კულტურის მინისტრის გუნდი... დიდხანს ელოდა მის ჩამოყალიბებას თბილისის საზოგადოება და აი... ამა წლის 12 ნოემბერს მოესწრო... მოულოდნელად უცნაური აღმოჩნდა მინისტრის არჩევანი. თავად მინისტრის გამოჩენაც იყო თბილისელებისთვის მოულოდნელად უცნაური — ქალაქში მას ცოტა ვინმე თუ იცნობდა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ენდნენ და (სიჩუმე ხომ თანხმობის ნიშანია) დასთანხმდნენ მინისტრის დანიშვნას.**

ჩვენი ერისთვის კულტურის სამინისტრო გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე იგივე უწყება სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში — მეტად დრამატულია ჩვენი კულტურის ისტორია. მასში მჭიდროდ არის გადაკვანძული ხელოვნება და ადამიანის საარსებო გარემო, ყოველდღიური ყოფა, ტრადიციები, ეთიკა, მორალი... — ყოველივე, რასაც მენტალობა მოიცავს. ამიტომაც, ბევრს ბჭობდნენ თბილისელები და ელოდნენ რომ ახალი მინისტრი თავისი გუნდის თაობაზე საზოგადოებას რჩევას დაეკითხებოდა, კონსულტაციას მიიღებდა. ვის უნდა შეხვედროდა? — ჩამეკითხება უმეცარი მკითხველი. თითქმის დაუფიქრებლად ჩამოვთვლი ათიოდ საიმედო მრჩეველს: გუგა კოტეტიშვილს, რატი ამაღლობელს, მარიკა დიდებულიძეს, ნიკუშა შენგელაიას, ლაშა თაბუკაშვილს, ზაზა აბაშიძეს, მაია მანიას, რამაზ ჭილაიას, მერაბ კოკოჩაშვილს, ვატო კახიძეს, დიმა მოსიაშვილს, დავით ლორთქიფანიძეს... ეს მხოლოდ ერთი წვეთია — ჩვენს ქალაქს ჯერ კიდევ ბევრი მცოდნე და უანგარო ადამიანი შემორჩა.

თბილისის საზოგადოებას იმედი გაუცრუვდა, მაგრამ, ვატყობ, რომ ჯერჯერობით არაფერს იტყვის — ან ისევ, ბატონ ბიძინასადმი ნდობის მიზეზით ან ინტელიგენციისთვის ჩვეული მორიდების გამო. ერთი რამ კი წინასწარვე ნამდვილად უნდა იცოდეს კულტურის მინისტრმა: არც ეკონომიკურ ან სოციალურ პოლიტიკაში გადაცდომები, ან სხვა რომელიმე დარგში შეცდომები, ისე არ აერთიანებს განრისხებულ თბილისელებს, როგორც კულტურის ნებისმიერ სფეროში ხელისუფლების არაკომპეტენტურობა და მისგან შობილი ვოლუნტარიზმი... ე.წ. საზოგადოებრივი საბჭო ერთგვარი მოუქნელი „რევერანსია“ თბილისის „კულტურული სამყაროს“ მიმართ. მინისტრის მოადგილეების დონე, ზოგადი განათლება და ინტელექტი არ უნდა ჩამოუვარდებოდეს, მაგალითად გუგა კოტეტიშვილის ან რამაზ ჭილაიას, მარიკა დიდებულიძის ან ლაშა თაბუკაშვილის დონეს. ამაში კი თბილისელები დარწმუნებულნი არ არიან... ეს ყოველივე მინისტრმა უნდა იცოდეს და ისიც უნდა ესმოდეს რომ კულტურის მიმართ ქართველები ერთგვარად არანორმალურები ვართ — წვრილმანსაც კი მეტად მტკივნეულად განვიცდით და პატიებაც გვიჭირს...

## არეული ფიქრები... - 6

**ომბუდსმენის ინსტიტუტი, ანუ ადამიანური, ყველასთვის გასაგები ენით რომ ვთქვათ, უფლებათა დამცველის ინსტიტუტი, საქართველოში (უფრო სწორად კი ხელისუფლებაში) „მოდური“ გახდა. რამდენადაც გამიგია, არავინ ამის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ თბილისის საზოგადოებაში ამ თემაზე ახლო წარსულის მიმართ, სკეპსისიც არსებობს: სულ რაღაც ერთი წლის წინათ ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ. საქმე ეხებოდა ანეკდოტურ მოვლენას — პრესომბუდსმენ ნოდარ ლადარიას, ადამიანს რომელიც აბსოლუტურად „გაბუსუნებული“ იყო, თუ პრესაში და მის გარშემო ოდნავი აღელვებაც კი ჩნდებოდა... სამაგიეროდ საზოგადოებრივი არხის მაყურებელს (განსაკუთრებით ხელოვნებათმცოდნეებს), რეგულარულად თავს აბეზრებდა საოპერო ხელოვნებაზე(?) გაუთავებელი ლაპარაკით.**

დღეს არა მარტო პრესას, მთლიანად მედიას ესაჭიროება საკუთარი ომბუდსმენი, როგორც შესაძლებლობა, სასამართლოს გარეშე განხორციელდეს დემოკრატიული კონტროლი სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებულ მოხელეებზე (მედიიის მუშაკებზე). კერძო სამართლებრივი თვალსაზრისით კი მედიაომბუდსმენის ინსტიტუტი ის მექანიზმია, რომელიც განახორციელებს მედიის სფეროში წარმოშობილი დავების არასასამართლო გზით გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. ამიტომ სრული ეფექტიანობისთვის მედიაომბუდსმენის პარალელურად უნდა არსებობდეს ჟურნალისტთა პროფესიული კავშირიც. მართალია, დღეს არსებობს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი, მაგრამ კავშირების დრო იწურება. ადრე შემოქმედებითი კავშირები ნაწილობრივ პროფესიული კავშირების ფუნქციებს ასრულებდნენ — საკუთარი წევრებისთვის ისინი პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენდნენ. შესაძლოა, დღეს პროფესიულმა კავშირებმა შესძლონ საკუთარი წევრების ინტერესების დაცვასთან ერთად შემოქმედებითი კავშირების ფუნქციებიც შეითავსონ. აი, ასეთ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო, კერძო სამართლებრივი სუბიექტები, გარკვეული მიმართულებით მომუშავე ომბუდსმენი და პროფესიული კავშირი ხმას შეუწყობენ ერთმანეთს — შეიქმნება ძალთა დემოკრატიული დაბალანსება. თბილისელებს რატომღაც სჯერათ, რომ ადრე თუ გვიან ასე მოხდება...

**მალხაზ ჟვანია**

**P. S. 3 დეკემბერს ეს მასალა გადავიკითხე და რედაქციაში მიტანა გადავწყვიტე. ამავე დღეს, საღამოს, ტელევიზიით გავიგე, რომ კულტურის მინისტრის მიერ ოთხი წარდგენილი მოადგილე ორი პერსონით შემცირდა. სულ არ გამხარებია: ამ შემთხვევამ დაამტკიცა, რომ საზოგადოება მართალი ყოფილა — აჯობებდა „კულტურულ სამყაროსთან“ სულ თავიდან შემდგარიყო გასაუბრება-კონსულტაცია. ასე კი, დროც დაიხარჯა და თბილისელების ნერვებიც.**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ დანაყრებული სამართალი



# პარლამენტმა „ნაციონალური მოძრაობის“ საბრალდებო დასკვნა დადო

**ერთთვიანი კამათის, დაპირისპირებებისა და ბრალდებების შემდეგ, საპარლამენტო ისტორიაში პირველი პრეცენდენტი მოხდა — საკანონმდებლო ორგანომ 190 პირს პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა, ხოლო 25 ადამიანს — პოლიტდევნილისა. სტატუსმინიჭებული პირები კი პატიმრობიდან პოლიტიკური ამნისტიით უახლოეს მომავალში გათავისუფლდებიან. მიღებული გადაწყვეტილებით, უმრავლესობა და უფლებადამცველები კმაყოფილნი დარჩნენ, ოპოზიციონერები კი — იმედგაცრუებულები, რადგან უმცირესობამ მრავალი მიზეზის დასახელების მიუხედავად, დადგენილების პროექტის მომავალი სესიისთვის გადადება დღეს ვერ მოახერხა. უმცირესობის წინააღმდეგობისა და კრიტიკის მიუხედავად, კანონმდებლებმა „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა თაობაზე“ დადგენილების პროექტი 77 მომხრე ხმით 14-ის წინააღმდეგ დაამტკიცეს. უწყების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კი, მოგვიანებით, მხარეები საკუთარი პოლიტიკური გადასახედიდან აფასებდნენ. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „დღეს საქართველოს დიდი სირცხვილი ჩამორეცხეს“, ოპოზიცია აცხადებს, რომ „სია სამარცხვინოა და დადგენილება ჰუმანიზმში შეფუთული პოლიტიკური შურისძიებაა“, ხოლო უფლებადამცველები „ნაციონალური მოძრაობის“ საბრალდებო დასკვნაზე აპელირებენ.**

პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებით, უმოკლეს ვადაში, საკანონმდებლო ორგანომ აღნიშნული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმები უნდა უზრუნველყოს. ამას გარდა, პარლამენტმა იმ პირთათვის სამართლებრივი სტატუსისა და მარეაბილიტირებელი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა უნდა უზრუნველყოს, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ პოლიტიკური ნიშნით და ამ დადგენილების მიღებამდე გათავისუფლდნენ პატიმრობიდან.

როგორც **for.ge**-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განუცხადა, პოლიტდევნილისა და პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭება პირის უდანაშაულოდ ცნობას კი არ ნიშნავს, არამედ მათ მიმართ პოლიტიკური ამნისტია განხორციელდება და ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი მუხლი „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტს დაემატება, რომლის განხილვაც, პარლამენტში უკვე მიმდინარეობს.

ბესელიას შეფასებით, პარლამენტმა პოლიტპატიმრებთან და პოლიტდევნილებთან დაკავშირებით ძალიან საპასუხისმგებლო და ღირსეული გადაწყვეტილება მიიღო.

**„დღეს საქართველოს დიდი სირცხვილი ჩამოვრეცხეთ. ძალიან ბედნიერი, ამაყი და თავაწეული ვარ, რომ, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრმა კოლეგებთან ერთად ის ვალდებულება შევასრულე, რომელიც პატიმრობაში უკანონოდ მყოფი პატიმრების წინაშე გვქონდა. საქართველოს პოლიტპატიმრები აღარ ეყოლება, რადგან ყველა მათგანს უახლოეს დღეებში გავათავისუფლებთ“,** — აცხადებს კანონმდებელი.

უმრავლესობისგან განსხვავებით, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ოპოზიციის წევრები მეტად „მოწყენილები“ ჩანდნენ, ზოგიერთმა მათგანმა დადგენილების პროექტის დამტკიცების შემდეგ კომენტარის გაკეთებაც კი არ ისურვა. გამონაკლისი მხოლოდ დავით დარჩიაშვილმა დაუშვა. როგორც **for.ge**-ს დარჩიაშვილმა განუცხადა, პატიმრებზე ზრუნვა ჩვეულებრივი პროცესია და მათი შეწყალება სხვა ფორმითაც შეიძლებოდა, მაგრამ პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჰუმანიზმში შეფუთული პოლიტიკური შურისძიებაა.

**„ეს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ქვეყნის იმიჯს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს, რადგან თურმე საქართველოს ამდენი პოლიტპატიმარი ჰყოლია. მეორე მხრივ კი, გადაწყვეტილება სერიოზული საფრთხის შემცველია, როგორც პოლიტიკური სისტემისთვის, ისე მომავალი თაობის ხვალინდელი დღისთვის, რადგან სიაში რამდენიმე ისეთი გვარია აღნიშნული, რომელთა საქმეებზეც ბევრი კითხვის ნიშანია. სიაში არიან ადამიანები, რომლებიც სისასტიკით გამოირჩეოდნენ და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებებს ახორციელებდნენ. შეიძლება სადისტი და რეციდივისტი შეიწყალო, რადგან ეს ჰუმანურია, მაგრამ ეს არის სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ სვლა“,** — განაცხადა დარჩიაშვილმა.

რაც შეეხებათ უფლებადამცველების პოზიციას, 21 ნოემბერს, როდესაც, პლენარულ სხდომაზე დადგენილების პროექტის დამტკიცება გადაიდო, პარლამენტი ნანა კაკაბაძემ ცრემლებით დატოვა, ახლა კი, ის სიხარულს ველარ მალავდა. როგორც **for.ge**-ს კაკაბაძემ განუცხადა, პარლამენტმა ფაქტობრივად „ნაციონალური მოძრაობის“ საბრალდებო დასკვნა დადო.

**„საქართველოს პარლამენტმა აღიარა, რომ ქვეყანაში იყო პოლიტიკური დევნა და დაკავებები. ადამიანებზე, რომლებიც უსამართლოდ იქნენ დაიჩაგრნენ, აღიარება მიიღეს. ეს არის საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმატება“,** — აცხადებს კაკაბაძე.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის მიერ ადამიანისთვის აღნიშნული სტატუსის მინიჭება იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული პირის მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლებლივ დევნას სისხლის სამართლებლივი საფუძველი არ ჰქონდა და მისი დევნა პოლიტიკური მოტივაციით იყო განპირობებული. შესაბამისად, სტატუსმინიჭებულ პირებს კომპესაციების მოთხოვნაც შეეძლებათ. როგორც **for.ge**-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გედევან ფოფხაძემ განუცხადა, სტატუსმინიჭებულ პირებს აქვთ უფლება — საქართველოს სასამართლოებს მიმართონ და კომპესაციები მოითხოვონ. **„ადამიანს, რომელიც ციხეში მხოლოდ პოლიტიკური შეხედულების გამო იჯდა, კომპესაცია უნდა გადავუხადოთ“,** — აცხადებს კანონმდებელი.

**ვინაიდან, სტატუსმინიჭებული პირების გათავისუფლება პოლიტიკური ამინისტიით მოხდება და შესაბამისი მუხლი „ამნისტიის შესახებ“ კანონოპროექტს დაემატება, სტატუსსმინიჭებული პირები საპატიმროებს, ამ წლის ბოლომდე დატოვებენ, რადგან ამნისტიის პროექტის 7 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილება. ცვლილებას კი, საკანონმდებლო ორგანო საშემოდგომო სესიის დასრულებამდე, ანუ დეკემბრის ბოლომდე მიიღებს.**

თეონა მანაგაძე

◉ დასნეულებული ჯანდაცვა

# სასწრაფო დახმარების ექიმები სწრაფ ცვლილებებს ითხოვენ

**დაპირისპირებამ სასწრაფო სამედიცინო სამსახურშიც იჩინა თავი. დედაქალაქის სასწრაფოს ექიმები ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა გათავისუფლებას ითხოვენ. გარდა ამისა, მათი ძირითადი პირობაა სამსახურის მერიის დაქვემდებარებიდან ჯანდაცვის სამინისტროს ბალანსზე გადასვლა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება.**

**თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემაში არსებულ პრობლემებზე ექიმებმა ლევან ლომსიანიძემ, ალექსანდრე ლომინაძემ და ციცო კაშიამ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. „არასწორი მენეჯმენტი სასწრაფო დახმარებას ნორმალურ მუშაობაში ხელს უშლის“,** — აცხადებენ ისინი.

ექიმების თქმით, გამოძახებებზე დაგვიანება და პაციენტთა საყვედურები ბოლო პერიოდში გახშირდა, რომლის მიზეზიც გარკვეულწილად მწირი სამედიცინო აპარატურა, აღჭურვილობა, ავტოპარკი და მედპერსონალის სიმცირეა.

**„გამოძახებებზე დაგვიანება საღამოობით იზრდება. ეს კი უდიდესი პრობლემაა როგორც ჩვენთვის, ასევე პაციენტებისთვის. გვინდა არსებული პრობლემები დროულად მოგვარდეს და საზოგადოებას პრეტენზიები ჩვენს მიმართ არ ჰქონდეს. ჩვენ ინეტერესებში მხოლოდ გამოძახებაზე დროულად მისვლა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენაა“,** — აცხადებენ ექიმები.

რუსუდან ბერიაშვილი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომლის გადაყენებასაც სასწრაფო დახმარების ექიმები მოითხოვენ. მასთან ერთად სასწრაფო დახმარების ექიმები ცენტრის დირექტორის გიორგი თოდუას გათავისუფლებასაც ითხოვენ.




რუსუდან ბერიაშვილი საუბარში არ უარყოფს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების მიერ ნახსენებ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, გამოძახებაზე დაგვიანებას, თუმცა იმასაც ამბობს, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც მიმდინარე წლის ივნისში დისპეტჩერიზაციის საკითხი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, 112-ს, გადაეცა.

**„112 უზრუნველყოფს ეფექტურ დისპეტჩერიზაციას, რაც საჭიროა არსებული ბრიგადების სწორად გადაადგილებისა და, შესაბამისად, გამოძახებაზე ოპერატიულად მისვლასა და დროულად მომსახურებისთვის“,** — ამბობს ბერიაშვილი.

რუსუდან ბერიაშვილი არც იმას უარყოფს, რომ ავტომობილებს, რომლებიც თბილისის მასშტაბით სასწრაფო სამედიცინო დახმარების 80 ბრიგადას ემსახურება, ტექნიკური პრობლემები აქვთ, თუმცა, მისი თქმით, მერია ავტოპარკისა და აპარატურის განახლების თაობაზე ინტენსიურად მუშაობს:

**„დღესაც მიმდინარეობს მსჯელობა, უბრალოდ, გასაგებია, რომ ეს არის საბიუჯეტო ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხი. მე ვადასტურებ, რომ ახლაც მიმდინარეობს ამ პრობლემაზე მუშაობა და ჩვენ საკმაოდ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და არსებობს რეალური შანსი, რომ 2013 წლის ბიუჯეტით მოგვეცემა საშუალება, რომ ავტოპარკი განვაახლოთ, გვქონდეს ახალი მანქანები. ასევე უნდა ითქვას, რომ აპარატურის გამოცვლა ისედაც მიმდინარეობდა და მომავალში მათი განახლება ინტენსიურად გაგრძელდება“.**

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმთა 15-კაციანი ჯგუფი, რომლებმაც ჯანდაცვის მინისტრს განცხადებით მიმართეს, წინა დღით თავად ეწვივნენ დავით სერგეენკოს სამინისტროში და პირისპირაც გაესაუბრნენ. ლევან ლომსიანიძეს თქმით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს მათივე მოთხოვნით შეხვდნენ და ცენტრში არსებულ სხვადასხვა პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება. შეხვედრას მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაშიც ესწრებოდა.

**„მინისტრს რამდენიმე პრობლემაზე ვესაუბრეთ. ის, რომ სასწრაფო სამედიცინო ექიმთა ბრიგადა გამოძახებებზე იგვიანებს, ეს ექიმთა ბრალეულობა კი არა, ადმინისტრაციის ბრალია და ამის გამოსასწორებლად ადმინისტრაცია არაფერს აკეთებს“,** — აცხადებს ლევან ლომსიანიძე.

**ექიმები სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი აზრით, პრობლემა კიდევ უფრო გაღრმავდება.**

ეკა ბაქრაძე

◉ ინფორმაცია




## სოთბის აუქციონზე ქართველი მხატვრების ნამუშევრებს გაიტანენ

**სოთბის აუქციონის გამოფენა-გაყიდვაზე სამი ქართველი მხატვრის ნამუშევრებს გაიტანენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ბაია გალერეადან“ აცნობეს, 2013 წლის 4-12 მარტს, ლონდონში, სოთბის აუქციონის გალერეაში კავკასიის და ცენტრალური აზიის თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა სახელწოდებით „გზაჯვარედინზე“ გაიმართება, სადაც წარმოდგენილი იქნება საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის და უზბეკეთის მხატვართა 1960-იანი წლებიდან დღემდე შესრულებული ნამუშევრები.**

**„ბაია გალერეა“ სოთბის გამოფენაზე წარადგენს სამ მხატვარს: ირაკლი ფარჯიანს, მერაბ აბრამიშვილს და კოტე სულაბერიძეს. „პროექტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის საქართველოს პირველი რეგიონალური მონაწილეობა სოთბის აუქციონის გამოფენაზე. ვაზუსტებთ, რომ ეს არ არის აუქციონი, არამედ გამოფენა-გაყიდვაა, რომელსაც მართავს სოთბის აუქციონი“, — აცხადებენ „ბაია გალერეას“ წარმომადგენლები.**

**სოთბის გამოფენამდე კი 8-12 დეკემბერს „ბაია გალერეა“ პროექტს „ქართველი მხატვრები სოთბის აუქციონის გამოფენაზე“ განახორციელებს, სადაც დამთვალიერებელი იმ სამ ნამუშევარს იხილავს, რომელიც ლონდონში იქნება წარმოდგენილი.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ისტორიულ მემკვიდრეობას ანადგურებენ!

## ყაჯართა დინასტიის ძვირფასეულობის გამოსაფენად ბატონის ციხის კომპლექსი დაანგრიეს(?!)

**თელავის მუზეუმის ყოფილი დირექტორი თენგიზ ალდამიძე პროკურატურას მიმართავს და ნიკა რურუასა და ნიკა ვაჩეიშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს. მისი თქმით, ერეკლე მეფის დროინდელი უნიკალური ძეგლის — ბატონის ციხის კომპლექსში შემავალი ნაგებობები რესტავრაციის ნაცვლად დაანგრიეს და მათ ძეგლის სტატუსი მოუხსნეს.**

**For.ge-ს თენგიზ ალდამიძე ესაუბრება.**

— ნებისმიერ საქმეს როცა იწყებ, უნდა გქონდეს გეგმა ან პროექტი. თელავის მუზეუმის რეაბილიტაცია კი ყოველგვარი პროექტის გარეშე დაიწყეს. ექსპრომტად დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს სამი შენობა, ახლა კი ასევე ექსპრომტად აშენებენ ახალ შენობას. გასაიდუმლოებულია და არ გვეუბნებიან, გულში რა უდევთ. არადა, ამ სასახლეში იყო ერეკლე მეფის ცხოვრების ამსახველი ექსპოზიცია, აქ იყო ოთახები, სადაც ერეკლე დაიბადა და გარდაიცვალა. ვაჩეიშვილმა კი განაცხადა, აქ ერეკლეს მემორიალს ვერ გავაკეთებთო. განზრახული ჰქონდათ ყაჯართა დინასტიის ექსპონატების ჩამოტანა. მოგეხსენებათ, თელავი ერეკლეს ქალაქია, თელაველები ამაყობენ, რომ ერეკლე მეფეს დიდ ღვაწლი ჰქონდა საქართველოს წინაშე და ის ეროვნული გმირი იყო. ახლა, უცებ, ვაჩეიშვილს მოუნდა და განაცხადა, არ გვინდა ერეკლეს მემორიალიო. ამას მორალური მხარე აქვს, ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელი აღა-მაჰმად-ხანი არა მარტო ერეკლეს, არამედ საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო. ამ დროს კი სახალხო გმირის, დიდი მეფის მემორიალს იღებენ და მისი დაუძინებელი მტრის, აღა მაჰმად-ხანის საგვარეულო ნივთების გამოფენას აპირებენ. ასეთი რამ სადმე გაგიგონიათ?! ამ ეტაპზე ყაჯართა სასახლის მშენებლობა შეჩერებულია, მაგრამ გაშმაგებით მიმდინარეობს ე.წ. ღვინის მუზეუმის მშენებლობა. ეს მაშინ, როცა თელავის მუზეუმი კომპლექსური მუზეუმი იყო, აქ შერწყმული იყო არქეოლოგია, სასახლე-მემორიალი, ეთნოგრაფია, ისტორია, უბრწყინვალესი გალერეა ჰქონდა. ეს ყველაფერი აღარ არის და ექსპონატები შეყრილია სადღაც, ყოველგვარი დაცვისა და შეფუთვის გარეშე.

**— ფიქრობთ, რომ ბატონის ციხის კომპლექსში შემავალ ძეგლებს შეიძლებოდა რესტავრაცია ჩატარებოდა და ეს ჯანსაღი შენობები არ დანგრეულიყო?**

— რა თქმა უნდა, სამხატვრო აკადემიის შენობის დანგრევას ესენი ვითომ არ აპირებდნენ, მაგრამ დაანგრიეს. ამავდროულად, არც ღვინის მუზეუმის მშენებლობაზე იყო ლაპარაკი, ამაზე კრინტიც არ დაძრულა, მაგრამ აშენებენ.

**— რატომ ეწინააღმდეგებით თელაველები ღვინის მუზეუმის მშენებლობას?**

— ვეწინააღმდეგებით, რადგან ღვინის მუზეუმს შესწირეს სამხატვრო გალერეა და ექსპოზიცია. ამ ყველაფერს სპობენ. გიჟი უნდა იყოს ადამიანი, რომ ღვინის მუზეუმზე უარი თქვას. თუმცა, როცა იქვე, ბატონის ციხის ტერიტორიაზე საკმარისი ადგილებია, თავისუფლად შეიძლებოდა ამის აშენება.

**— თავის დროზე, როცა თქვენი პოზიცია გააცანით ვაჩეიშვილს, როგორი იყო მისი რეაქცია?**

— თავის დროზე როცა რეაბილიტაციის პროექტის ესკიზების მსგავსი გამოქვეყნდა, მე კრიტიკული შენიშვნები გამოვთქვი და დავუსაბუთე ვაჩეიშვილს, რომ სასახლის ამ სახით რეაბილიტაცია არ შეიძლებოდა. ყაჯართა დინასტიის სასახლის შესახებ კი მას დავუსაბუთე, რომ ამის აშენება დაუშვებელი იყო. მათი აზრით, ყაჯართა სასახლისთვის შერჩეულ ძვირფას ექსპონატებს ძვირფასი გარემო სჭირდებოდა გამოსაფენად. ამ გარემოს უქმნიდნენ ისე, რომ სასახლე უნდა მოეხატათ, ორსართულიანი დერეფანი უნდა მოესპოთ, კარ-ფანჯარა ერთ ლიობად უნდა გადაეკეთებინათ და ა.შ. მათ მოვთხოვე, თუ შნო გაქვთ, დადეთ საბუთი, რომ ეს ასე იყო თავის დროზეც და სიამოვნებით მოგიხდით ბოდიშს-მეთქი. ვაჩეიშვილს არაფერი უთქვამს, აკადემიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მისმა მოადგილემ კი გვითხრა, რაღაც-რაღაცები გავითვალისწინეთ და მოხატულობას აღარ ვაკეთებთო. სამაგიეროდ, ვაპირებთ შუქის ეფექტები გამოვიყენოთო. ახლა ჩემთვის და თელაველებისთვის რაიმე განსხვავებაა, რომ ისინი არ მოხატავენ დარბაზს, მაგრამ შუქის ეფექტს დატოვებენ?! სწორედ შუქის ეფექტით უნდათ, წარმოადგინონ აღა-მაჰმად-ხანის ექსპონატები.

**— მოხატვა აღმოსავლური სტილით უნდა განეხორციელებინათ?**

— აღმოსავლურ-სპარსულ სტილში, რომელ სტილშიც სასახლე არასდროს ყოფილა მოხატული. ვითომ შეცვალეს პროექტი ამ ერთი თვის წინათ კარგად რესტავრირებული აღმოსავლეთის კარიბჭე გაანგრიეს და გაათხრეს.

**— ეს ყველაფერი ვისი დავალებით ხდებოდა?**

— რურუა უბრალოდ მინისტრია, ვაჩეიშვილი კი — ძეგლთა სპეციალისტი. სწორედ ვაჩეიშვილს ჰქონდა დავალებული ამის ასეთნაირად გაკეთება. აქ ისევ მორალური საკითხი დგას, თუ პატიოსანი სპეციალისტი და პროფესიონალია, არ უნდა იკადროს ის, რაც იკადრა ვაჩეიშვილმა. ის პროექტი, რომელიც წარადგინა თელავის სარეაბილიტაციოდ, არ უნდა წარედგინა, რადგან მან ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, როდესაც დგას ძეგლი, მის ისტორიას არ უნდა შეეხო. მან კი დაიწყო ძეგლის გადაკეთება. ყაჯართა მდიდრულ ექსპონატებს მდიდრულ სასახლეს უკეთებდა. ეს ანეკდოტური ამბავია. თუ რატომ ხდებოდა ეს, ცოტა სხვა საკითხია, რაზეც ჯერ ლაპარაკი არ მსურს.

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამით ტურისტების მიზიდვა უნდოდათ.**

— გჯერათ, ამის? ასე არ არის.

**— მაშინ თქვენი ვერსია რა არის? პროკურატურაში ძეგლის დაზიანების კუთხით აღიძრა სარჩელი?**

— სარჩელი შეტანილია და თელავის მუზეუმის განადგურების მოტივით გამოძიება დაწყებულია რურუასა და ვაჩეიშვილის წინააღმდეგ.

**— ძეგლს სტატუსი შეგნებულად მოუხსნეს?**

— მანდ სამი შენობა დაანგრიეს - წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი, რომელიც მთელ საქართველოში მხოლოდ სამი იყო (თელავში, ქუთაისსა და თბილისში). ეს იყო მკვიდრი შენობა, ყოველგვარი ავარიულობის გარეშე. ვაჩეიშვილმა იგი თავისი ინიციატივით დაანგრია. ჯერ დაარქვეს, კომუნისტების აშენებულიაო, არადა, ეს იყო ქართველების აშენებული, თავისი შესაწირით, ვალით, სესხით. უბრალოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დროს აშენდა, 1910 წელს. მოგვიანებით ამ სასწავლებელში გაზრდილი ხალხი მოედო მთელ კახეთს და განათლება შეიტანა. მეორე შენობა იყო სამხატვრო გალერეის შენობა, რომელიც გასაბჭოებამდე ხაზინის ნაგებობად ითვლებოდა და ულამაზესი იყო. აქ უნიკალური კოლექცია ინახებოდა — აივაზოვსკი, კრამსკოი, ჰოლანდიური ფერწერა. შესაძლოა, ასეთი კოლექცია სხვაგან არც არის. ამ გალერეას მხოლოდ გალამაზება, კოსმეტიკური რემონტი სჭირდებოდა, გარედან ე.წ. პერანგში უნდა ჩაესვათ, ესენი კი ადგნენ და ერთ მშვენიერ დღეს დაანგრიეს. ჯერ დაანგრიეს ნახევარი და შემდეგ ამერიკელები ჩამოვიდნენ და კონცეფცია ჩამოიტანეს. ახლა ამერიკელმა ქართველს ღვინის მუზეუმის კონცეფცია უნდა ასწავლოს?! ამავე დროს, ღვინის პატარა მუზეუმები არსებობს ნებისმიერ თავმოყვარე ღვინის ქარხანაში, წინანდალში თუ სხვაგან. მაგრამ დილით დაანგრიეს ეს ლამაზი შენობა და საღამოს გამოაცხადეს, აქ ღვინის მუზეუმი კეთდებაო. თუ ანგრევდნენ, ხომ უნდა დაესაბუთებინათ კიდეც, რომ შენობა ავარიული იყო? მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს ვესაუბრე და ვკითხე, დევს თუ არა ასეთი დოკუმენტი-მეთქი? ასეთი დოკუმენტი ჩვენ არ გვაქვსო, — მითხრა. იმისთვის, რომ დანგრევა „გაეპრავებინათ“, 4 ივლისს დანგრეულ შენობას 31 აგვისტოს მოუხსნეს სტატუსი. იქ მესამე შენობაც იყო, რომელიც, ფაქტობრივად, ორი შენობას წარმოადგენდა, რამდენადაც შიგნით მოყოლილი გახლდათ ერეკლეს დროინდელი ნაგებობა. ასე რომ, მთლიანობაში იქ ოთხი ძეგლი იყო. არც ადმინისტრაციულ შენობას არ სჭირდა რაიმე დასანგრევი, მაგრამ მოსპეს და ახლა გამწარებულები აშენებენ ღვინის მუზეუმს.

**— რაც შეეხება ერეკლეს დანატოვარ ძვირფას ნივთებს...**

— ერეკლეს სახელთან დაკავშირებული ორი ხმალი გვქონდა მუზეუმში, თეკლა ბატონიშვილისეული საგვარეულო ნივთებიც გვქონდა. გარდა ამისა, თბილისში დაცული ექსპონატების ასლები გავაკეთეთ. მაგალითად, ერეკლეს საათი, ერეკლეს ბეჭედი, მისი სათვალე. მაგრამ, თუკი თბილისიდან შეიძლებოდა ყაჯართა უძვირფასესი კოლექციის თელავში ჩატანა, რატომ არ შეიძლებოდა ერეკლეს ნივთების თელავში ჩამოტანა? პროკურატურაში გამოძიება უკვე დაწყებულია და შესაბამისი მასალებიც არსებობს. ახლა ვაჩეიშვილის მოადგილე გამოვიდა და თავს იმართლებდა, ვითომ საძირკვლებზე წარმოიშვა დაზიანებაო, ეს სიცრუეა და რამდენიც უნდათ, იხტუნაონ. რაც შეეხება ღვინის მუზეუმს, მისი იდეა 2004 წლიდან მოდის, რამდენჯერმე სცადეს ამის განხორციელება და ახლა აგვირგვინებენ. აქ ფინანსური ინტერესია, წინანდალი 49 წლითაა გასხვისებული „სილქროუდჯგუფზე“, რომელიც ნიკა რურუას ხელშია. ეს ყველაფერი ერთმანეთზე ასხმულია .

**— წინანდლის მსგავსად, თელავშიც ასეთი ინტერესი აქვთ?**

— თავდაპირველად თელავით დაიწყეს. მაშინ თელავის მუზეუმის დირექტორი ვიყავი, ჩემთან მოვიდნენ და შემოთავაზებაც ჰქონდათ. უშუალოდ ეგენი არ მოსულან, მაგრამ სხვები მოვიდნენ. ნიკა ვაჩეიშვილი და ნიკა რურუა კლასელები არიან. წინანდლის 49 წლით გასხვისებაზე ხელი ნიკა ვაჩეიშვილს აქვს მოწერილი . იმ დროს მინისტრი გოკა გაბაშვილი იყო. მის დროს არის გასხვისებული წინანდალი, მაგრამ მან არ მოაწერა ხელი, ამან კი მოაწერა...

* * *

ჩვენ დავუკავშირდით „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გიორგი მოსიაშვილს. იგი აცხადებს, რომ, ყაჯართა ტომების მეჩეთის ტიპის ნაგებობის მშენებლობა, მართალია, შეჩერებულია, მაგრამ გალერეა და წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი დანგრეულია.

მისი თქმით, მიმდინარე წლის აგვისტოში ამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს სტატუსი მოუხსნეს, რაც კულტურის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს მხრიდან არაკომპეტენტური და გულგრილი ქმედება იყო. ამიტომ უნდა დადგეს რურუასა და ვაჩეიშვილის პასუხისმგებლობა. ვაჩეიშვილი განმარტავდა, ევროპას დააინტერესებს ყაჯართა ტომების ნამუშევრებიო, მაგრამ ვფიქრობ, ეს გაუმართლებელია, ქართული ექსპონატები უნდა გამოგვეფინა“.

**მანანა ნოზაძე**





SIC!

## ხაშურის მოხუცებულთა მომსახურების დღის ცენტრის მიმართვა საქართველოს საზოგადოებას

**მიმდინარე წლის ოქტომბერში ქალაქ ხაშურში, დევნილთა დახმარების ჩეხური ორგანიზაცია OPU-ს დაფინანსებით, გაიხსნა მოხუცებულთა მომსახურების დღის ცენტრი, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით. ამ ცენტრში მუშაობენ მედდა, სოციალური მუშაკი და იურისტი, რომლებიც მოხუცებულებს უმსუბუქებენ მძიმე ყოფას. დღის მანძილზე ათობით ადგილობრივი სოციალურად დაუცველი და დევნილი პენსიონერი სტუმრობს ცენტრს და ღებულობს შესაბამის დახმარებას. ეს ცენტრი იქცა ერთადერთ ნათელ წერტილად ხაშურელი მოხუცების ერთფეროვან ცხოვრებაში.**

**ამ სიკეთის მიღმა კიდევ რჩება მოუგვარებელი საკითხები, რომლებიც მხცოვანთა პრობლემებს მნიშვნელოვნად გადაჭრიდა. ცენტრს საზოგადოების მხრიდან ესაჭიროება მოწყალების გამოჩენა. ნებისმიერი სახის დახმარება — პროდუქტებით, ტანსაცმლით ან თუნდაც წიგნებით, რაც დიდ როლს ითამაშებდა ჩვენი უფროსი თაობის ცხოვრებაში.**

**დახმარების გაწევის მსურველი პირები ან ორგანიზაციები დაუკავშირდით OPU-ს პარტნიორ ორგანიზაციას საქართველოში — კავშირს „მომავლის ცხინვალი“ მისამართზე: თბილისში, ვაჟა-ფშაველას პირველი ჩიხი, №1/43 (ტელ.: 2324063) ან ხაშურში, გორგასლის ქუჩა 326 (ტელ.; 68 246462).**

**წინასწარ ყველას მადლობას გიხდით გულისხმიერებისათვის.**

**კავშირი „მომავლის ცხინვალი“**

ზრდასრულთა განათლება

# გერმანულმა გამოცდილებამ საქართველოში გაამართლა



**უკვე 40 წელიწადია გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი (dvv international) ხელს უწყობს ზრდასრულთა განათლების პროგრამების ჩამოყალიბებას, მათ განხორციელებას მრავალრიცხოვან პარტნიორ ქვეყანაში და ამ სფეროში არსებული ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას.**

**საქართველოში ორგანიზაცია 2002 წლიდან მოღვაწეობს. 2012 წლის დასაწყისში თბილისში აგრეთვე რეგიონალური ოფისი გაიხსნა, რომელიც კავკასიის რეგიონს და თურქეთს ფარავს.**

**სამწუხაროდ, დღეს სახელმწიფო დაფინანსება სრულიად არასაკმარისია როგორც მთლიანად განათლების, ასევე ზრდასრულთა განათლების სექტორის განვითარებისათვის. უფრო მეტიც – ზრდასრულთა განათლება არ არის პრიორიტეტული ჩვენი ქვეყნისთვის, რითაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას დასაქმების პროგრამების არაეფექტიანობა, რაც, საერთო ჯამში, აყოვნებს საქართველოს პოტენციალის განვითარებასა და წინსვლას.**

გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (dvv international) საქართველოში პროგრამების მიზანია ზრდასრულთა განათლების სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ამასთან, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ზრდასრულების პროფესიული მომზადება/გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმების შანსს გაზრდის და შემოსავლების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად იქცევა.

ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაციამ საქართველოში უკვე 6 ზრდასრულთა განათლების ცენტრი დააფუძნა. პირველი ცენტრები სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქსა და ახალციხეში 2006-2008 წლებში გაიხსნა. სამცხე-ჯავახეთში პროექტს სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფი-



ლიალი 2007 წლის 1 იანვრიდან ახორციელებს. ამ ცენტრებს მოჰყვა სამეგრელოში, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრების გახსნა, ოდნავ მოგვიანებით კი ქვემო ქართლში – კოდასა და ჯვარში ასეთივე ცენტრების ამოქმედება. ყველა ეს ზრდასრულთა ცენტრი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (dvv international) საქართველოს ფილიალი 2013 წლის იანვარში ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში ზრდასრულთა განათლების მეშვიდე ცენტრს გახსნის. ლელიანი, საქართველოს უმრავლესი სოფლების მსგავსად, არ ხასიათდება ერთფეროვანი ეთნიკური სტრუქტურით. საუკუნოვან სოფელში მრავალი ათწლეულია ქართველებთან ერთად ცხოვრობენ ოსები, რუსები, უკრაინელები და ჩეხები.

ჩვენი ჩასვლა დაემთხვა სოფელში გამართულ შემოდგომის დღესასწაულს. ლელიანის საჯარო სკოლის ეზოში, მოსწავლეების ლექსებთან და სიმღერებთან ერთად, სტუმარს ეგებებოდა სკოლის ეზოში მოწყობილი ფაცხები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ასახიერებდნენ. სწორედ აქ შევხვდით ზრდასრულთა განათლების ცენტრის მომავალ აღმასრულებელ დირექტორს ნანა ნერსეზაშვილს, რომელიც ამჟამად სათემო ორგანიზაციის „ლელი პირველის" ხელმძღვანელია.

**ლალი სანთელაძე, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ოფისის დირექტორი:** „ეს პირველი ზრდასრულთა ცენტრია საქართველოში, რომელიც მთლიანად გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსდება. ეს არის მისი სხვა ცენტრებისგან პირველი მნიშვნელოვანი განსხვავება. მეორე, მნიშვნელოვანი განსხვავება კი შემდეგი გახლავთ – თუ უწინ 6 ცენტრი ჩვენ ავაშენეთ, გავარემონტეთ, ამ შემთხვევაში ცენტრის გარემონტებაში თემი მონაწილეობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ცენტრი მოემსახურება არა მარტო ლელიანს, არამედ ლაგოდეხის რაიონის დიდ ნაწილს, იგივე მეზობლად მდებარე 15-ათასიან აზერბაიჯანულ სოფელ კაბალს, ლელიანის თემში შემავალ სხვა 7 სოფელს.

ცენტრი მოთავსდება ლელიანის საბავშვო ბაღის შენობის გამოუყენებელ ნაწილში, რომელიც მუნიციპალიტეტმა 7 წლით უფასოდ გადმოგვცა. მასთან მემორანდუმის გაფორმების საფუძველზე შენობა გარემონტდება, აღიჭურვება და 2013 წლიდან აქ საგანმანათლებლო პროგრამები ამოქმედდება. შემდგომ ეტაპზე ჩვენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას გადავცემთ. „ლელიანი პირველის" წარმომადგენლებმა ნანა ნერსეზაშვილმა და გელა თედეევმა, თავისი ორგანიზაციის არსებობის მანძილზე, თემთან არაჩვეულებრივად სანდო ურთიერთობების ჩამოყალიბება მოახერხეს. სწორედ ამ ურთიერთობების წყალობით დღეს ლელიანის სათემო განათლების ცენტრს მთელი თემი აშენებს და არემონტებს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს."

**ნანა ნერსეზაშვილი**: „ჩვენ უკვე 44-მდე პროექტი განვახორციელეთ როგორც თემის ინფრასტრუქტურაზე, ისე საგანმანათლებლო თვალსაზრისით, როგორც ზრდასრული ადამიანებისთვის, ისე მოზარდებისთვის და ბავშვებისთვის. აქტივობა ძალიან დიდია. მხოლოდ ლელიანში არ ვმუშაობთ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ვსაქმიანობთ. გვინდა, რომ ჩვენი არეალი რეგიონის მასშტაბით გავაფართოვოთ. ცენტრი მოგვცემს იმის საშუალებას, რომ უფრო დახვეწილი სერვისები შევთავაზოთ მოსახლეობას. შესაბამისად, აღჭურვილი ბაზაც გვექნება. უკვე ვგეგმავთ მომავალი საქმიანობის მიმართულებებს. გვექნება პიროვნული განვითარების, კომპიუტერის და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. ამ ეტაპზე დიდი მოთხოვნილებაა საბუღალტრო კურსებზე. აინტერესებთ აგრეთვე: ავეჯის დამზადება, ხელგარჯილობის, კულინარიის კურსები.

უნდა ითქვას, რომ ლელიანის თემში სამი ოსური სოფელია, ოსურ სოფელ ფონაში მოსახლეობის 30 პროცენტი აზერბაიჯანულია. ამ თემებს ბევრი პრობლემა აქვთ, ამიტომ ვფიქრობთ, ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი იქნება მათთან თანამშრომლობა, მათი ზრდასრულების ჩვენთან მოწვევა და სხვადასხვა ტიპის კურსებზე დასწრება".

**დათო ჯიქია, პროექტის კოორდინატორი**: „ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია, მართლაც, ჩვენი ცენტრების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია, მაგრამ არა ერთადერთი.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ქართული რეალობისთვის უნიკალური, რასაც სათემო განათლების ცენტრები მოსახლეობას სთავაზობენ, ეს არის ერთ შენობაში გაერთიანებული, სხვადასხვა მიმართულების, ადამიანების საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები. კურსების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3-4 თვით, რაც შესაძლებლობას იძლევა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მორგებული, დაინტერესებული პირის საგანმანათლებლო საჭიროებებზე აგებული კურსით, ეფექტური ცოდნით აღჭურვოს მსმენელი. სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვაქვს წარმატებული ისტორიები, როდესაც სათემო განათლების ცენტრის არაერთი კურსდამთავრებული არა მარტო დასაქმდა, არამედ შეძლო არსებული სამუშაო ადგილის შენარჩუნება და შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება."

**მათიას კლინგენბერგი, კავკასიისა და თურქეთის რეგიონალური ოფისის დირექტორი:** „ზრდასრულთა განათლების ცენტრები გერმანულ გამოცდილებას ეფუძნება. გერმანიაში ყოველ რაიონს, პატარა ქალაქს, სოფელს აქვს თავისი ზრდასრულთა საგანმანათლებლო, სათემო ცენტრი, რომელთაც ჰქვია სახალხო უნივერსიტეტი. გერმანიაში 1200 ცენტრზე მეტია, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა კურსს სთავაზობს. ასეთი ცენტრების მიზანია არაფორმალური განათლება ხელმისაწვდომი გახადოს ყველასათვის, ასაკის, ეროვნების, სოციალური წარმოშობის მიუხედავად. ეს არის განათლება ყველასათვის. არის ყველანაირი კურსები, საჭიროებისდა მიხედვით, სახელობო და პიროვნული განვითარების კურსებიც: ენები, კომპიუტერი, ბუღალტერია, მცირე ბიზნესი".

არსებითი კიდევ dvv international-ის მესვეურთა თქმით, ისაა, რომ ამ სათემო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა თემი გამოაცოცხლა. ის ფაქტი, რომ ადამიანებს შეუძლიათ სახლებიდან გამოსვლა, ერთმანეთთან შეხვედრა და საკუთარი თავის რესოციალიზაცია, უკვე მათთვის დიდი მიღწევაა და, თუნდაც ამ თვალსაზრისით, ასეთი ცენტრების საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია.

**თამარ შაიშმელაშვილი,**

**სურათებზე: მათიას კლინგენბერგი; ლელიანის ცენტრს ადგილობრივები არემონტებენ.**

კაცი დროში

## კაცი, რომელიც ამშვენებს თელავს...

**ეს კაცი როინ ჭიკაძეა.**

**იქ დაბადებული და, ძმასთან ერთად, ობლობაში გაზრდილი.**

**თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ,თელავში დაბრუნებული და იქაურ ინსტიტუტზე „ჯვარდაწერილი"– სხვაგან არსად უმუშავია, იქ გაიარა ყველა საფეხური ლაბორანტობიდან რექტორობამდე.**

**მისი პრორექტორობა და რექტორობა ურთულეს პერიოდებს დაემთხვა – ეროვნული მოძრაობის აღმავლობას, ეროვნული ხელისუფლების არჩევასა და დამხობას...**

**სამაგიეროდ, ნაციონალურ ხელისუფლებას ასცდა...**

**მისი ხელმძღვანელობით, თვალშისაცემად დაწინაურდა თელავის უნივერსიტეტი. ეს ბევრმა ფაქტორმა განსაზღვრა, მათ შორის ყოველწლიურმა კონფერენციებმა, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან და ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებასთან თანამშრომლობით რომ ტარდება და კლასიკოს მწერალთა შემოქმედებას ეძღვნება.**

**უკვე ცხრამეტჯერ ჩატარდა. მეოცე, გაისად, ნიკო ლორთქიფანიძეს მიეძღვნება.**

**ცნობილი ენათმეცნიერი „ხმათა ხავერდებისა და ღმერთების ენის" ავტორიტეტული მკვლევარი და ქომაგია.**

**მწერლის ენაზე დაკვირვება მისი სტიქიაა.**

**ორი შვილისა და სამი შვილიშვილის მამა და ბაბუა თელავს ინტელიგენტური ოჯახითაც ამშვენებს: მეუღლე, ქალბატონი ნანა კუპატაძე, თელავის თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობის ასული, პროფესიით ბიოლოგი, თავადაც სასცენო ხელოვნების ტრფიალია. არაერთხელ წაგვიკითხავს მისი კვალიფიციური რეცენზიები, სხვა პუბლიკაციები...**

**შვილები და შვილიშვილები თბილისში ცხოვრობენ, თვითონ კი თელავს ვერასოდეს უღალატებენ.**

**...**

**ერთ-ერთი კონფერენციის შემდეგ, ბატონი როინი თელავს გვათვალიერებინებდა. გზაზე მსუბუქად შეზარხოშებული კახელი შემოგვხვდა, გაგვაჩერა და გვითხრა: „მინდა, იცოდეთ, რომ ეს კაცი მთელ თელავს უყვარს."**

**გვესიამოვნა და გაგვეხარდა, თუმცა ეს ისედაც ვიცოდით.**

**შეუძლებელია, არ უყვარდეთ და პატივს არ სცემდნენ ღირსებით, ღვაწლით, იშვიათი იუმორით გამორჩეულ კაცს, კაცს, რომელიც ჭეშმარიტად, ამშვენებს თელავს, ამშვენებს თავის 75 წლის იუბილეს, რომელსაც მხნედ და შემართული ხვდება...**

**გიორგი გოგოლაშვილი,**
**იოსებ ჭუმბურიძე**

ინფორმაცია

### საჯარო მოხელე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეზე დააკავეს

**შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი ნუკრი აბალაკი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეზე დააკავა.**

**როგორც მთავარი პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნულ დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი ითვალისწინებს.**

**უწყების ცნობით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვენა საუკეთესო ქალაქია ცხოვრების ხარისხით, თბილისი კი - ყველაზე ცუდი

**ვენა აღიარეს 2012 წლის მსოფლიო საუკეთესო ქალაქად ცხოვრების ხარისხის მიხედვით, ყველაზე ცუდად კი ევროპაში დაასახელეს საქართველოს დედაქალაქი თბილისი, განაცხადეს კონსულტანტებმა, რომლებიც აფასებენ მსოფლიოს ქალაქების ცხოვრების ხარისხს იმ უცხოელებისთვის, რომლებიც ჩამოდიან ხანგრძლივი მივლინებებით.**

გამოკითხვის თანახმად, რომელიც მოაწყო ტრანსეროვნულმა კომპანია მეგსეგმა, მეორე და მესამე ადგილებზე ავსტრიის დედაქალაქის შემდეგ არიან შვეიცარიის ციურიხი და ახალი ზელანდიის ოკლენდი.

მეგსეგი – უდიდესი კონსალტინგური ფირმაა ადამიანის რესურსების სფეროში და მასთან დაკავშირებულ საფინანსო საკითხებში – მუშაობს მსოფლიოს ორმოც ქვეყანაში და ყოველწლიურად აქვეყნებს გამოკვლევას ცხოვრების ხარისხის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

კომპანია აცხადებს, რომ გამოკვლევის მიზანია, „დაეხმაროს ტრანსეროვნულ კომპანიებს და სხვა ორგანიზაციებს“ სამართლიანი კომპენსაციის განსაზღვრაში უცხოეთის მივლინებებში ხანგრძლივი, რამდენიმე წლით ყოფნის პერიოდში.

### მსოფლიოს საუკეთესო ქალაქები ცხოვრების ხარისხის მიხედვით

ვენა, ავსტრია,
ციურიხი, შვეიცარია,
ოკლენდი, ახალი ზელანდია,
მიუნხენი, გერმანია,
ვანკუვერი, კანადა

საერთო სიაში ლონდონი 38-ე ადგილზეა, მან წინ ევროპის 20 ქვეყნის ქალაქი გაუშვა.

კომპანია მეგსეგის რეიტინგის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებს შორის საუკეთესოა პრაღა (69-ე ადგილი), ყოფილი სსრ კავშირის ქალაქებიდან – ვილნიუსი (79-ე ადგილი).

ევროპულ ქალაქებს შორის ცხოვრების ხარისხის მიხედვით ყველაზე უარეს ქალაქად აღიარებულია თბილისი. მას უკავია 213-ე ადგილი 221 ქალაქს შორის.

გლობალურ რეიტინგში თბილისს წინ უსწრებენ ისეთი ქალაქები, როგორებიცაა ბიშკეკი (203) და დუშანბე (207).

მსოფლიოში ბოლო ადგილი ცხოვრების ხარისხის მიხედვით ბაღდადს უკავია.

### ქალაქის ინფრასტრუქტურა

2012 წლიდან მეგსეგი ასევე აწარმოებს ქალაქის ინფრასტრუქტურის ხარისხის გამოკვლევას. აქ კრიტერიუმებია ელქტროენერგიის, ცივი და ცხელი წყლის, სატელეფონო კავშირის, ინტერნეტის, ფოსტის მუშაობის ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და აეროპორტის ხარისხი.

### საუკეთესო ქალაქები ინფრასტრუქტურის ხარისხით

სინგაპური, სინგაპური,
ფრანკფურტი, გერმანია
მიუნხენი, გერმანია
კოპენჰაგენი, დანია
დიუსელდორფი, გერმანია

ლონდონი, რომელმაც 2012 წელს მიიღო ოლიმპიური თამაშები, მეგსეგის სიაში მეექვსე ადგილზეა.

„გერმანიისა და დანიის ქალაქების ინფრასტრუქტურა – საუკეთესოთა შორის არიან მსოფლიოში, კერძოდ, პირველი კლასის აეროპორტების წყალობითა და... კომუნალური სამსახურების მუშაობის მაღალი ხარისხით“, – განაცხადა გამოკვლევის ერთ-ერთმა ავტორმა სლაგინ პარკატილმა.

ევროპის ქალაქებს შორის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ყველაზე ცუდია ერევანი (189-ე ადგილი) და თბილისი (201).

უკანასკნელი ადგილი ქალაქის ინფრასტრუქტურის ხარისხით მსოფლიოში უკავია ჰაიტის დედაქალაქს პორტ-ო-პრენსს. მეგსეგი განსაზღვრავს მსოფლიოს 221 ქალაქის ცხოვრების ხარისხის რეიტინგს.



BBC RUSSIAN.com

# საქართველომ განსაზღვრა, რომ არ დაუთმობს რუსეთს

**ტერიტორიული მთლიანობისა და საგარეო პოლიტიკაში თავისუფალი არჩევანის პრინციპები – აი რას არ დაუთმობს არასოდეს საქართველო რუსეთს, განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან.**

„დასავლელ კოლეგებს აინტერესებთ რუსეთთან ჩვენი მომავალი ურთიერთობის თემა, – განაცხადა მინისტრმა „მე-9“ არხთან ინტერვიუში. – არის ორი რამ, რასაც ჩვენ არასოდეს დავთმობთ“.

„ეს არის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, აგრეთვე არჩევანის თავისუფლება, თუ რომელ კავშირში ან ალიანსში უნდა შევიდეთ“, –თქვა მან.

მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია „კონტაქტები რუსეთთან სამუშაო დონეზე“, მაგრამ არ დააზუსტა, კერძოდ, რა დონეზე და როდის.

როგორც ჩვენი გაზეთი იტყობინებოდა, ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა იმის შესახებ, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გამოიმუშავა რუსეთთან დაკავშირებით ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „დეოუკუპაციის“ საკითხში რუსეთი „მიაყენოს კუთხეში“.

მისი სიტყვებით, „მსოფლიო არ დაეთანხმება რუსეთის მიერ 2008 წლის ომის შემდეგ შექმნილ დებულებას და, ადრე თუ გვიან, რუსეთს მოუწევს შეასრულოს ამასთან დაკავშირებული ვალდებულებანი.

„რუსეთი დიდ დისკომფორტს განიცდის“, – ხაზგასმით აღნიშნა მან, როდესაც საუბარს აგრძელებდა ამ თემაზე.

„ჩვენი ამოცანაა ურთიერთობათა ნორმალიზაცია რუსეთთან, მაგრამ არა ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე. რეალურობაა, და ამას მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია“,– განაცხადა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ.

მისი სიტყვებით, ურთიერთობა შეიძლება დავიწყოთ ეკონომიკის დარგში ურთიერთობის აღდგენით.

„საქართველოსთვის უნდა გაიხსნას რუსეთის ბაზარი, როგორც გახსნილია საქართველოს ბაზარი რუსეთისთვის, მით უმეტეს, რომ ჩვენ დავთანხმდით რუსეთის შეცვლას ვაჭრობის მსოფლიო ორგანგიზაციაში“, – აღნიშნა მან.

მოსკოვი ელოდება თბილისისგან კონკრეტულ წინადადებებს ურთიერთობათა ნორმალიზაციის შესახებ რუსეთსა და საქართველოს შორის, განაცხადა სამშაბათს რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა. „ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ სურს რუსეთთან ურთიერთობათა ნორმალიზება, – თქვა ლავროვმა. – ჩვენ მოვისმინეთ ამის შესახებ, კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან. გვინდა ვიცოდეთ, კონკრეტულად როგორ აპირებენ ისინი ამის გაკეთებას. ამასთან ერთად, აღნიშნა მინისტრმა, „საქართველოს განცხადებანი იმის შესახებ, რომ სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი ოკუპირებული ტერიტორიებია, ხელს არ უწყობს რუსეთთან მისი დიალოგის დაწყებას წინასწარი პირობების გარეშე“.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# კრემლს არ მოსწონს ნატოს პროვოკაციები. ახლა საქმე საქართველოზეა

**მოსკოვი გამოდის საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩართვის გეგმების წინააღმდეგ, წერს ანდრეა პერონე.**

„ნატო, სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან, აგრძელებს რუსეთის დაშინებას, იგი განათავსებს მთელი მისი საზღვრის გასწვრივ სამხედრო ინფრასტრუქტურებს, ჯარისკაცებს, რადარებს, საბრძოლო თვითმფრინავებსა და ამერიკის სამხედრო ბაზებს“, – წერს გამოცემა.

„სიტუაცია რუსეთისთვის გაუარესდა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ყოფილი სატელიტები შევიდნენ ევროკავშირში და ნატოში. ვაშინგტონმა არ დააყოვნა, გამოეყენებინა სიტუაცია და მათი მიღება ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში დაუკავშირა ამ ქვეყნების მიერ ანტირუსული პოლიტიკის განხორციელებას და მათს ტერიტორიებზე, რუსეთის საზღვრების გასწვრივ, ნატოს ძალებისა და სახსრების განთავსებას, – ნათქვამია სტატიაში. ყოველივე ამას დაემატა პროვოკაცია, რომელიც განახორციელა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში. ეგრეთ წოდებული „ხუთდღიანი ომი“ დამთავრდა სააკაშვილის ხმაურიანი დამარცხებით, მაგრამ ამის შემდეგაც საქართველო აგრძელებს თავის პროვოკაციებს. სწორედ ამიტომ მოსკოვი, რომელიც თვალყურს ადევნებს ურთიერთობის განმტკიცებას, ერთი მხრივ, ვაშინგტონსა და ნატოს და, მეორე მხრივ – თბილისს შორის, გამოვიდა საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივების წინააღმდეგ“.

„რაც შეეხება საქართველოს, დარწმუნებული ვარ, რომ ნატოში ესმით რუსეთ-ნატოს და ევროპული უშიშროების ურთიერთობათა ნებისმიერი ნაბიჯების შედეგების მთელი სერიოზულობა საქართველოს ალიანსში შემდგომ ჩართვასთან დაკავშირებით“, – განაცხადა ბრიუსელში რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა ნატოში ალექსანდრ გრუშკომ. რუსეთის დიპლომატი ამ განცხადებით გამოვიდა რამდენიმე საათის შემდეგ ვაშინგტონში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მოლაპარაკებიდან“, – წერს სტატიის ავტორი.

RINASCITA

## დედამიწის ზურგზე



**ფილიპინებზე თავს დატეხილმა ტაიფუნმა „პაბლომ“ 475 კაცის სიცოცხლე შეიწირა**

დაღუპულთა ყველაზე დიდი რაოდენობა – 258 – დაფიქსირდა კუნძულ მინდანაოს აღმოსავლეთ სანაპიროზე, კიდევ 191 სხეული აღმოაჩინეს ქალაქების ნიუ-ბატაანისა და მანკაიოს რაიონში. მიუხედავად ამისა, მაშველებმა აღმოაჩინეს რამდენიმე გადარჩენილიც. ერთ-ერთი მათგანი ორი დღის მანძილზე ქოქოსებით იკვებებოდა. ქვეყნის ხელისუფლება ითხოვს საერთაშორისო დახმარებას.

* * *

**ავსტრალიის პრემიერი გვაფრთხილებს, რომ ახლოა სამყაროს დასასრული, იხსენებს დემონებსა და ზომბებს**



ერის ლიდერი ჯულია ჰილარდი ჰპირდება „ცოცხლად დარჩენილ ავსტრალიელებს“, დაიცვას ისინი ყველა საფრთხისგან, მოდის ეს საფრთხე სისხლისმსმელი ზომბებიდან, დემონებიდან თუ ჯოჯოხეთის წიაღიდან. თავისი ხანმოკლე სიტყვა პრემიერმინისტრმა წარმოთქვა სერიოზული სახით, იგი იდგა ავსტრალიის ორი სახელმწიფო დროშის ფონზე.

* * *

**დედამიწა, როგორც „შავი მარმარილო“: „ნასას“ მეცნიერებმა გამოაქვეყნეს პლანეტის ღამის ხედები კოსმოსიდან**



შარშან გაშვებულმა თანამგზავრმა მიაწოდა კოსმოსის მკვლევარებს სიზუსტით უპრეცედენტო ღამის სურათები, რომელთა მიხედვითაც შეძლეს შეექმნათ პლანეტის საერთო ხედი დღე-ღამის ბნელ პერიოდში. ფოტოგრაფიებზე აღბეჭდილია არა მხოლოდ ქალაქის აგლომერაციების შუქი, არამედ თანამედროვეობის ზოგიერთი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებიც.

* * *

**პრესამ გაიგო, თუ რის შესახებ ჩურჩულებდნენ პუტინი და იანუკოვიჩი „შეჰერაზადას სასახლეში“**

განმარტოებული საუბარი გაიმართა აშხაბადში დსთ-ს სამიტის კულუარებში და ამან გააღიზიანა სხვა ქვეყნების ლიდერები და მონაწილეები. თანაც, ჟურნალისტების დამოწმებით, უკრაინის პრეზიდენტმა მოასწრო აგრეთვე პირისპირ ესაუბრა თურქმენ კოლეგასთან, და ამ დიალოგის თემა არ მოეწონებოდა თავად რუსეთსაც კი.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# როცა მთელი ცხოვრება სწავლობ!

**ამ ოჯახში ორი ხელოვანია. ია მხატვარია, მისი ქალიშვილი ბაკო, იგივე ბარბარე კი — მხატვარიცა და მუსიკოსიც.**

ია მჭედლიშვილმა თბილისში თსუ-ს ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, პარალელურად სახვითი ხელოვნების მეორად ფაკულტეტზე ფერწერის განხრით სწავლობდა. მცირე ხნით საქართველოს ხელოვნების მუზეუმში იმუშავა, ქსოვილების რესტავრაციის განყოფილებაში. ერთ ხანს გერმანულ სკოლაში ხატვასაც ასწავლიდა და სკოლაში ფსიქოლოგადაც მუშაობდა, თუმცა ხატვის სურვილი არასოდეს განელებია, ხატვა არც არასოდეს შეუწყვეტია. მისი ნახატები იფინებოდა, ია ახალგაზრდა მხატვართა კავშირის წევრიც გახლდათ, მწვანეთა პარტიისაც... ამ დროს უკვე სსრკ ინგრეოდა, მიტინგები, ომები... დროის იმ მონაკვეთის სამოქალაქო აქტივობის გამოვლენის ყველაზე ოპტიმალური გზა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა გახლდათ. იამ არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვები მომავლის საზოგადოება“ დააარსა, რომლის ერთ-ერთი პროექტი გახლდათ ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების დეპრივაციის, საზოგადოებაში მათი ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის პრობლემების შესწავლა. როგორც თავად თვლის, ეს იყო მისი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო და საჭირო საქმიანობა ... და უცებ მისი ცხოვრება „ამოყირავდა“. იას მეუღლემ ზაქარია მჭედლიშვილმა, რომელიც პროფესიით ნეიროფიზიოლოგია, ვირჯინიის უნივერსიტეტიდან მოწვევა მიიღო და, როგორც თავად ამბობს, იგი ასე და ამგვარად ჩაბნელებული და ცივი 1999 წლის თბილისიდან ამერიკის გაბრდღვიალებულ და გაკრიალებულ საუნივერსიტეტო ქალაქში აღმოჩნდა.

— ვირჯინიაში მე და ბავშვები ცოტა გვიან ჩავედით, — ამბობს ია.— ჩემს მეუღლეს საკმარისი დრო ჰქონდა იმისთვის, რომ სიტუაცია ჩვენთვის მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული დაეხვედრებინა, მაგრამ კულტურული განსხვავება, გარკვეული გაუცხოების მომენტები მაინც იყო. ცხოვრების დონე რაც უფრო მაღალია ქვეყანაში, ის შენგან, როგორ სოციალურ სივრცეშიც არ უნდა გიწევდეს ცხოვრება, ბევრი რამის ცოდნას მოითხოვს — როგორც სამოქალაქო თვალსაზრისით, ასევე ელემენტარულის, ადამიანური, პირადი ურთიერთობების დონეზეც. ცხადია, ეს ყველაფერი უმტკივნეულო არ იყო, მაგრამ ვთვლი, რომ ამერიკამ, ამ არაჩვეულებრივმა ქვეყანამ, გამზარდა და ეს პროცესი ჩემში ისევ გრძელდება. პირადად ჩემში სწორედ ამ ქვეყანაში გამყარდა ე.წ. სამოქალაქო ჩვევები. როგორც დედაჩემი იტყვის ხოლმე მამაჩემზე — ნუ, ხომ არ შეიძლება მთელი ცხოვრება სწავლობდეს ადამიანიო. მას ვერ შევედრები დაუზარლობის თვალსაზრისით, მაგრამ დაახლოებით ასე ვარ: სწავლას მეც ველარ მოვრჩი.

**— ძალიან ხშირად ამერიკაში ჩამოსვლისას, სანამ ნულიდან ყველაფერს დაიწყებ და აეწყობი, პროფესიული დისკვალიფიკაციაც „დაგეწევა“ ხოლმე...**



— ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ ადგილობრივი მხატვარი, მისტერ რობერტ ფრიმანი გავიცანი, რომელსაც ჩარჩოებისა და ანტიკური ნახატების რესტავრაციის ბიზნესი ჰქონდა, სადაც 5 წელი ვიმუშავე რესტავრატორად და უამრავი რამ ვისწავლე მისგან. ჩემთვის ეს იყო დასავლური ურთიერთობის ცოცხალი გამოცდილება. პარალელურად საკვირაო სკოლაში ხატვის მასწავლებლადაც ვიმუშავე და ხატვაში კერძო მოწაფეებიც მყავდა. ეს იყო გიჟური 5 წელი: ადგომა დილის 6-7—ზე, ბავშვები — სკოლაში, სამსახურში გაქცევა, უკან მოვარდნა და ისევ ბავშვები, ტაფები და ქვაბები. და ღამის თევა ხატვაში. იმ პერიოდში გადავწყვიტე, რომ აკვარელი შემესწავლა, ბიბლიოთეკიდან წიგნები გამოვიტანე. ბავშვები როგორც კი იძინებდნენ, ჩემი სხვა ცხოვრებაც იწყებოდა. გამიმართლა, რადგანაც ჩემი ბიოლოგიური ძილი 5 საათი გრძელდება, ზოგჯერ ესეც არ იყო. 2006-ში ჩემს ქმარს პიცბურგში ლაბორატორიის ხელმძღვანელობა შესთავაზეს და ჩვენ საცხოვრებლად პენსილვანიაში გადავედით. იქ სახლი ვიყიდეთ და ამის გამო კვლავ შეიცვალა ყველაფერი, ჩავჯექი და მთლიანად ხატვასა და სახლის საქმეებს მივენდე. იქვე ახლოს პატარა გალერეა იყო, სადაც ნამუშევრებს ვყიდდი. როცა ვიხსენებ, მგონია, რომ ცუდი დრო ნამდვილად არ იყო, პიცბურგის წლები ყველაზე რთული იყო ჩემთვის. სამი თინეიჯერი შვილი (მათ შორის სხვაობა 2-2 წელია), ურთულესი ასაკი, ჯერ კიდევ იმდენად დაღლილი ვარ იმ წლებით რომ, სიზარმაცე მჭამს და არ შემიძლია ორიოდე სიტყვით აღვწერო. სანამ პატარები იყვნენ, შეუდარებლად მოწესრიგებული იყო ჩემი ყოველდღიურობა; მაგრამ ახლა, როცა გადავაგორეთ ეს პერიოდი, აღმოვაჩინე, რომ ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ძალიან საინტერესო, არაჩვეულებრივად სანდო სამი ერთმანეთისგან საოცრად განსხვავებული ახალგაზრდა ადამიანი. ახლა შვილები ჩემგან ნაკლებს მოითხოვენ და ამიტომ იმედი მაქვს, ჩემი თავისთვის მეტ დროს გამოვნახავ და დღეს სწორედ ასეა. ისე კი, თბილისში ბოლო ორი ჩასვლისას შევძელი ყოველდღიური რუტინისგან თავის დაღწევა და 2 პერსონალური გამოფენაც კი მქონდა — ეროვნულ ბიბლიოთეკასა და შარდენის გალერეაში. საერთოდ, ხატვის პროცესი ჩემთვის ბევრად სასიამოვნოა, ვიდრე საკუთარი ნამუშევრების დემონსტრირება. არ ვამბობ რომ უსიამოვნოა, პირიქით, საოცარ მუხტს იღებს ადამიანი, მაგრამ სულ ვწელავ ხოლმე, სულ რაღაცნაირი განცდა მაქვს, თითქოს დროს ვკარგავ, მოკლედ ძალიან უნიჭო ვარ ორგანიზების საკითხში და ეს თვისება ხშირად ხელს საქმიან ურთიერთობებშიც მიშლის. თან, მე მგონი, ამას ქრონიკულად დაკავებული დედის კომპლექსიც ემატება. თუმცაღა ახლა უკვე თავს ველარ გავიმართლებ, გაიზარდნენ, ამიტომ იძულებული ვარ უფრო აქტიური ვიყო ჩემს საქმეში. თან ამ ბოლო დროს ფოტოგრაფიამაც დამაინტერესა. ვნახოთ.



**— ბავშვებისთვის რამდენად სტრესული იყო ახალი გარემო და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უცხო ენაზე სწავლა?**

— როცა ამერიკაში ჩამოვედით, ბავშვები პატარები იყვნენ. გიორგი 8 წლისა იყო, ბაკო 6 და ანდრია 4 წლის თვითმფრინავში გახდა. ბაკოსა და ანდრიასთვის ადაპტაციის პერიოდი თითქოს შეუმჩნეველი იყო. აი, გიორგის ნამდვილად გაუჭირდა, რადგან საქართველო ძალიან ენატრებოდა. გასაოცრად დეტალურად იხსენებდა ყველაფერს და ყველას. მაგრამ ზაფხულში ხშირად ჩავდიოდით საქართველოში და ამ პროცესს ჩასვლა- ჩამოსვლების სიხარულები დაემატა და განეიტრალდა; თუმცა როგორც სტრესის სახით, უფრო თინეიჯერობის ასაკში ამოხეთქა, ისე რომ, გიორგი მე— 11 კლასში თბილისში გაგვექცა და იქ ისწავლა 1 წელი, მე მგონი, არაჩვეულებრივი გამოცდილება იყო მისთვის, აშკარად „დაალაგა“ მაშინ თავისი თავი. ეხლა გიორგი 21 წლისაა, სწავლობს ფენსტეიტის უნივერსიტეტში; ბაკო 19-ის და ანდრია — 17 წლის.

**— ბუნებრივია, ოჯახის უმცროსი თაობისთვისაც არანაკლებ ღირებული გამოცდილება იქნებოდა ადამიანის უფლებებისადმი დამოკიდებულების ორ განსხვავებულ ვერსიაზე დაკვირვება...**

— ამასთან დაკავშირებით ყველაზე ნათელი მაგალითი თავად ჩემს შვილებს გადახდათ. 2009 წლის სექტემბერში პიცბურგში ჩატარდა G-20, რასაც, ისევე როგორც ყველგან, მოჰყვა საპროტესტო აქციები . ვის არ ნახავდით იქ: ანტიგლობალისტებს, მწვანეებს, ანარქისტებს... ზოგი აფრიკის მდგომარეობას აპროტესტებდა, ზოგი აბორტის წინააღმდეგ გამოდიოდა, ზოგი ომის წინააღმდეგ, ზოგი ჰაერის სისუფთავისთვის იბრძოდა,.... ადგილობრივმა პოლიციამ და მთავრობამ, აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები გამოიყენა. იყო ერთი ცემა-ტყეპა, იჭერდნენ და პოლიციაში მიჰყავდათ... (122 ადამიანზე სისხლის სამართლის საქმე დღემდე აღძრულია). სამართლებრივ შედეგებს და პროცესს ნამდვილად ვერ შეიტყობდით ვერც CNN-ით და ვერც FOXNEWS-ით — ორი ერთმანეთს დაპირისპირებული, ახალი ამბებით გაზავებული პოლიტიკური არხით, მაგრამ სინამდვილეს ნამდვილად გაიგებდით არხებიდან, რომლებიც დემოკრატიულ ინსტიტუტებს ეკუთვნის. მოკლედ, ამ ამბებში გაეხვივნენ ჩემი შვილებიც. მოვყვები მხოლოდ 14 წლის ანდრიას ამბავს, რომელიც იმ ღამეს, როგორც ჩვენ გვეგონა, ღამე მეგობართან დარჩა. უთენია, დილის 4 საათზე პოლიცია მოგვადგა. აგვიხსნეს, რომ ღამის 12 საათზე დაიჭირეს ანდრია თავის მეგობრებთან ერთად, რომლებიც აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ. პოლიციის ახსნა-განმარტებით, სიტუაციის განმუხტვის დროს დაიმსხვრა ანდრიას მობილური და სკეიტბორდი. გვითხრეს ისიც, რომ უნდა ველოდეთ სასამართლოდან წერილს და ფულად ჯარიმას (კანონით მათ არა აქვთ არასრულწლოვანის ციხეში გაჩერების უფლება). შემდეგ ანდრია გადმოიყვანეს მანქანიდან და გაუჩინარდნენ. მოგვიანებით გავიგეთ, რომ, ჩვენი შვილი კარგად უჟეჟიათ, ძირსაც აგორავეს, 3 საათი ციხეშიც კი ჰყავდათ, თანაც ხელებშეკრული. იქ რომელიღაც პოლიციელს მისი გრძელი თმა არ მოსწონებია და გოგოს შეადარა (ანდრიას სიტყვებით), შემდეგ კი რძე შეასხა სახეში, რომელსაც მიირთმევდა. მოკლედ ანდრიამ ცხოვრებაში პირველად თავის თავზე გამოსცადა, რაა უსამართლობა. ცოტა ხანში გაისმა ტელეფონის ზარი და ერთ საათში ჩვენთან გაჩნდნენ ორგანიზაცია ACLU (American Civil Liberties Union)-ის წარმომადგენლები. ჩვენს ანდრიას გადაუღეს სხეულზე ფოტოები, ჩაიწერეს ჩვენებები, ნივთმტკიცება, ნახევრად დამტვრეული მობილური ტელეფონი, რომელიც უკვე ჰქონდათ (ადგილზე თავად უპოვიათ), რის მეშვეობითაც ჩვენც მოგვაგნეს. დაგვიტოვეს თავიანთი საკონტაქტო ინფორმაცია და წავიდნენ. ამ მონაყოლში არაფერია ისეთი, რომ ვერ იპოვო მსგავსება საქართველოსთან, რომ არა მეორე დღე, რომლის მსგავსსაც საქართველოში ნამდვილად ვერ ნახავ... მეორე დღეს ისევ მოვიდნენ, წაიყვანეს ანდრია და გიორგი (რომელიც ცრემლსადენი გაზის მსხვერპლი იყო), თავიანთ ოფისში გააცნეს კანონები, წესები, უთხრეს, რომ ისინი ამ დემონსტრაციის მიმდინარეობის პროცესს აკვირდებოდნენ. აუხსნეს, კერძოდ, რა კანონები დაარღვია და რას გადაამეტა პოლიციამ, რა შეცდომები დაუშვეს დემონსტრანტებმა და, კერძოდ, ანდრიამ. ასწავლეს გზები, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი მსგავსი უსამართლობის შემთხვევაში, ვის უნდა მიმართონ. ასევე გააცნეს თავიანთი, როგორც ორგანიზაციის, როლი, თუ როგორ აკვირდებოდნენ დემონსტრაციის მომენტში პროცესს, უყურებდნენ შეძლებისდაგვარად თითოეულ დემონსტრანტს, აგროვებდნენ ნივთმტკიცებებს ინციდენტების მერე. ისინი არ იყვნენ დემონსტრაციის პროცესში ჩართულები, როგორც ჩვენთან ხდება ხოლმე წყლის ჭავლისათვის მკერდის მიშვერა და მონაწილეების გვერდით დგომა. სწორედ აქ ინარჩუნებს დემოკრატიული ინსტიტუტი თავის მისიას ამერიკაში და სწორედ აქ კარგავს თავის მისიას დემოკრატიული ინსტიტუტი საქართველოში, როცა ის დამკვირვებლის, შემფასებლის, ცოდნის გამავრცელებლის ფუნქციაზე ამბობს უარს და უერთდება მონაწილეებს. ამით ის ანადგურებს თავის თავს, კლავს იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

**— როგორც ჩანს, ბაკო იმ დროს პიცბურგში არ იყო და საკუთარ მუსიკალურ ნიჭს ამერიკიდან შორის „აღმოაჩენდა“. რამდენადაც ვიცი, თქვენი ოჯახისთვის ბარბარეს მუსიკალური ნიჭი სიურპრიზი იყო...**

— ბაკოს მუსიკალურ ნიჭზე წარმოდგენა არც კი გვქონდა, სანამ 2006-ში თბილისში 6 თვით არ გავუშვით. ჩვენი გეგმა ასეთი იყო: ბაკოს ქართულ სკოლაში ესწავლა და მომზადებულიყო ხატვაში, რადგან გადავწყვიტეთ, რომ პენსილვანიაში CAPA-ს (School of Creative and Performing Arts) სკოლაში ჩაებარებინა, სადაც მისაღები გამოცდები იყო. თბილისში კი, რომ არ მოეწყინა, გიტარის მასწავლებელი ავუყვანეთ და, აი, იქიდან დაიწყო ყველაფერი. სწორედ მაშინ გაუჩნდა სიმღერისადმი პირველი ინტერესი. პირადად მე არასოდეს ვყოფილვარ ქართული სიმღერის მოტრფიალე, ის ვერანაირად ვერ გახდა ჩემი გემოვნების ნაწილი, გარდა ფოლკლორისა. მახსოვს ჩემი დაბადების დღე იყო, ბაკომ სკაიპით დამირეკა, მომილოცა. მერე „ია“ და „ გიორგობის თვე“ მიმღერა და მე ავტირდი. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი ცრემლები ქართულ სიმღერაზე... თავად მე ჯაზი ძალიან მიყვარს, მუსიკას შემიძლია 24 საათი ვუსმინო... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბაკომ CAPA-ს სკოლაში ჩააბარა ხატვის განხრით და დაიწყო მისი ახალი გატაცება — ფოტოგრაფია. თუმცა მუსიკა მის ცხოვრებაში ყოველდღიური გახდა. ზოგჯერ საათობით კომპიუტერთან იჯდა და უითუბიდან ტონალობაში ვარჯიშობდა, სიმღერებს თავისით სწავლობდა. ბაკომ CAPA-ში ორწლიანი სწავლის შემდეგ გამოგვიცხადა, რომ ხატვა აღარ უნდა და ამიტომ ჩვეულებრივ სკოლაში გადავიყვანეთ. შემდეგ ისევ თბილისი ჩავიდა ცოტა ხნით. ჩვენ გადავწყვიტეთ, იქ აელო სოლფეჯიოსა და მუსიკის გაკვეთილები, რათა ელემენტარული ცოდნა ჰქონოდა, მერე კი თავად დაიწყო მუსიკის წერა და დღემდეც ასე გრძელდება. სანამ პიცბურგში ვცხოვრობდით, იქ ადგილობრივ ჯაზკლუბში Shadow Lounge-ში მღეროდა. იგი სულ პროცესშია. ეხლაც რაღაც „მიქსტეიფს“ აკეთებს, ბევრს ვერაფერს ვიტყვი, ბევრი რამ მეც არ ვიცი, თან სულ მიკრძალავს მასზე ლაპარაკს. პირადის არგამჟღავნების საოცრად მოყვარულია, მიუხედავად ბევრი მეგობრისა, ზოგჯერ შეუძლია ერთი კვირა ოთახიდანაც არ გამოვიდეს და მშვენივრად გაერთოს თავის თავთან. საკმაოდ სენსიტიურია ურთიერთობაში. თითქოს ვერაფერს შეამჩნევ, ძალიან ტაქტიანია, მაგრამ თვითონ შეუმჩნეველი არაფერი დარჩება.. მისი ასაკის გოგოსთვის არა ჭორიკანაა, არ უყვარს ადამიანების განსჯა, ძალიან მომწონს ეს თვისება მასში (მე რომ მისი ასაკის ვიყავი, ბევრს ვჭორაობდი). ისე აბსოლუტურად ჩვეულებრივი თინეიჯერია. ხშირად აქვს შემოთავაზებები, მაგრამ ყველაფერს წელავს, იმ მიზეზით, რომ ამ კონკრეტულ რაღაცაში თავისი თავი ვერ დაინახა და ასე ამბობს — საერთოდაც არსად მეჩქარება. ვერ იტანს კონკურსებს. სხვათა შორის, ამას წინათ კონკურსში მონაწილეობისთვის „ექსფაქტორიდან“ დაუკავშირდნენ, მაგრამ არც კი უფიქრია მათთან ურთიერთობის გაფორმება. ვნახოთ, რა იქნება. ჩვენც არაფერს ვაძალებთ. მშვიდად ველოდებით, თუ როდის გამოკრისტალდება მასში ამბიცია, გახდეს მომღერალი ან, სულაც, ფოტოხელოვანი ან მხატვარი, ან სულაც სულ სხვა პროფესია აირჩიოს...



**ია მერკვილაძე,**
**ნიუ იორკი, აშშ**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფეხბურთი

# ფინიტა ლა კომედია



**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ფინიშზე რამდენიმე ტრაგიკომიკური ფარსი გათამაშდა, რამაც სატურნირო სტარტების თვალსაზრისით მქლე სათამაშო დღე ერთგვარად მსუყე გახადა.**

უპირველესად სიტყვა „ე" ჯგუფში განვითარებულ მოვლენებს შევაწიოთ, სადაც ტოტალიზატორებისა და „ყოვლისმცოდნე" გულშემატკივართაგან ნავარაუდევი პროგნოზი დაიმსხვრა. მიხვდით, ალბათ, რომ დონეცკის „დონბას არენაზე" გამართულ „შახტარისა" და ტურინის „იუვენტუსის" შეხვედრას ვგულისხმობთ, რომელიც ნაწინასწარმეტყველები ფრის ნაცვლად სტუმრებმა მოიგეს – 1:0 და ტიტულის აწ უკვე ყოფილი მფლობელი ლონდონის „ჩელსი" ევროპის ლიგამდე დააქვეითეს.

თავის მხრივ, არც „არისტოკრატებისა" და დანიის „ნორდსიელანდის" უთანასწორო ბრძოლას აკლდა სათავგადასავლო ჟანრის ელემენტები, თავად განსაჯეთ – მეტოქეებმა ერთმანეთს სამი პენალტი დაურტყეს, საიდანაც ზუსტად მხოლოდ ერთი შეასრულეს. დავძენთ, რომ ეს იყო რაფა ბენიტესის მიერ ახალ გუნდთან ერთად მოპოვებული პირველი გამარჯვება.

**დაბოლოს:** „ბარსელონას" თავკაცის ტიტო ვილანოვას ტაქტიკურ ახლომხედველობას ლეო მესი ემსხვერპლა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია მის მიერ ლისაბონის „ბენფიკასთან" კატალონიური კლუბისათვის უმოტივაციო მატჩში მიღებული ტრავმა, მაგრამ ის, რომ გამოუცდელმა მწვრთნელმა გაუმართლებლად გარისკა, როცა მე-60 წუთზე საკუთარ რეზერვისტებს გაუხურებელი არგენტინელი შეაშველა, ფაქტია. შედეგად სეზონის მიწურულს პრიმერადივიზიონში გასამართი უმნიშვნელოვანესი თამაშების წინ შესანიშნავ კონდიციებში მყოფი გუნდის ლიდერი დაშავდა და, ლეგენდარული გერმანელი ბომბარდირის გერდ მიულერის რეკორდის მოხსნას ვინღა ჩივის, ნეტავ ჩემპიოთა ლიგის განახლებამდე მოიშუშოს იარა.

**„ე" ჯგუფი.** „შახტარი" – „იუვენტუსი" 0:1, „ჩელსი" – „ნორდსიელანდი" 6:1.

**საბოლოო მდგომარეობა:** „იუვენტუსი" – 12, „შახტარი", „ჩელსი" – 10-10, „ნორდსიელანდი" – 1 ქულა.

**„ვ" ჯგუფი.** „ბაიერნი" – ბატე" 4:1, „ლილი" – „ვალენსია" 0:1.



**საბოლოო მდგომარეობა:** „ბაიერნი", „ვალენსია" 13-13, ბატე – 6, „ლილი" – 3 ქულა.

**„ზ" ჯგუფი.** „ბარსელონა" – „ბენფიკა" 0:0, „სელტიკი" – „სპარტაკი" 2:1.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ბარსელონა" – 13, „სელტიკი" – 10, „ბენფიკა" – 8, „სპარტაკი" – 3 ქულა.

**„თ" ჯგუფი.** „მანჩესტერი" – „კლუჟი" 0:1, „ბრაგა" – „გალათასარაი" 1:2.

**საბოლოო მდგომარეობა:** „მანჩესტერი" – 12, „გალათასარაი", „კლუჟი" – 10-10, „ბრაგა" – 3 ქულა.

**მერვედფინალისტთა კენჭისყრა 20 დეკემბერსაა დანიშნული.**

**გიორგი შოთაძე**

კრივი

# კალინინგრადში – ცხრა სპორტსმენით

**ახალი ოლიმპიური ციკლის დაწყებასთან დაკავშირებით ევროპის კრივის კონფედერაცია კალინინგრადში 20-22 წლის სპორტსმენებისთვის 9 დეკემბრიდან კონტინენტის პირველობას გამართავს.** შეჯიბრებაში საქართველოს 9 სპორტსმენი იასპარეზებს. მედლებისთვის იბრძოლებენ მიხეილ კაზანჯიანი (თბილისი, 49 კგ), სევერიანე ჭილლაძე (თბილისი, 52), ვენეტიკ ერანოსიანი (ახალქალაქი, 56, ჭაბუკებში 2011 წლის ევროპის პირველობის ფინალისტი), ალეკო ჭადაშვილი (თბილისი, 60, კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედალოსანი), ირაკლი მელიქიშვილი (თბილისი, 64), ზაალ კვაჭატაძე (თბილისი, 69, 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი), რომან თავაძე (ქუთაისი, 75, კადეტებში მსოფლიოს 2008 წლის პირველობის ფინალისტი), იაგო კიზირია (ფოთი, 81, ახალგაზრდებში 2010 წლის ევროპის პრიზიორი), თორნიკე პურიჭამიაშვილი (გორი, მძიმე წონა). ნაკრების წევრებს ევროპის პირველობისთვის კუკური შავგულიძე, ვლადიმერ ჭანტურია და ანატოლი ქავთარაძე ავარჯიშებენ.

**ლაშა დიდია**



თაოზა

# გვენდობიან და მერე როგორ!

**შვეიცარიის ქალაქ ნიონში გაიმართა 17 და 19-წლამდელთა შორის ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა. იქვე დადგინდა, რომ თბილისი უმასპინძლებს ევროპირველობის პირველ შესარჩევ ეტაპებს როგორც 17, ასევე 19-წლამდელთა შორის.**

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები 2014 წლის – ევროპირველობის პირველ შესარჩევ რაუნდში დაუპირისპირდება ჰოლანდიას, სან-მარინოსა და ფარერის კუნძულებს. ამ ოთხგუნდიან ტურნირს თბილისი უმასპინძლებს 2013 წლის 17-21 მარტს.

ასევე თბილისში გაიმართება 19-წლამდელთა შორის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდიც, სადაც საქართველოს მეტოქეები იქნებიან ჰოლანდია, უელსი და მოლდოვა. ეს ოთხი გუნდი ელიტრაუნდის ორ საგზურს 2013 წლის 13-18 ნოემბერს გაითამაშებს.

* * *

**ალსანიშნავია, რომ ორივე ასაკობრივი ნაკრები გასულია 2013 წლის ევროპირველობის ელიტ-რაუნდში.** გიორგი დევდარიანის მიერ გაწვრთნილი 17-წლამდელთა ნაკრები ელიტ-რაუნდს 25-30 მარტს გაივლის ავსტრიაში, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან მასპინძელი ავსტრია, სერბეთი და ირლანდია, ხოლო კახა კაჭარავას მიერ გაწვრთნილი 19-წლამდელთა ნაკრები 2013 წლის ევროპირველობის ელიტ-რაუნდში დაუპირისპირდება ინგლისს, შოტლანდიას და ბელგიას. ოთხგუნდიანი ტურნირი 24-29 მაისს, ბელგიაში გაიმართება.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ძიუდო

# ორი კანდიდატი



**ქართულ ძიუდოში კარგა ხანია, დაპირისპირებამ აპოგეას მიაღწია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ორჯერ გადაიდო (კანდიდატურები ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ხახალეიშვილმა და მამუკა ხაბარელმა მოხსნეს).** ორივე მხარემ თითქოს გამაერთიანებელი კანდიდატი შეარჩია – დავით ქევხიშვილი, თუმცა ჯერ კიდევ ყველაფერი ისე მშვიდად არ ყოფილა, როგორც ეს გარედან ერთი შეხედვით ჩანს - არჩევნებში მონაწილეობის კიდევ ერთი მსურველი გამოჩნდა – ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი თემურ ხუბულური. არ არის გამორიცხული, კანდიდატების რიცხვი გაიზარდოს. განცხადებების მიღების ვადა დღეს იწურება, არჩევნები კი 10 დეკემბერსაა დანიშნული.

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# ფავორიტი მოგებით იწყებს



**ანტალიაში დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც პირველ ნომრადაა განთესილი თბილისელი ნიკოლოზ ბასილაშვილი.** ასპარეზობის სტარტზე ჩვენებურმა იოლად დაამარცხა (6:1, 6:2) თურქი სარპ აღაბიგუნი, რომელიც ტურნირზე „ველური ბარათით" იყო მიწვეული. მეორე წრეში ბასილაშვილი მიხაილ ვაკსსა (რუსეთი) და იორის დე ლურეს (ბელგია) შორის უძლიერესს დაუპირისპირდება.

**ლექსო ცინცაძე**

მივიწყებული სახელები

# მან სამუდამო რეკორდი დაამყარა

**ჯანითა და მოქნილობით თანატოლებისგან ყოველთვის გამოირჩეოდა. ზაფხულობით მდინარე ტეხურაში ბანაობით გულს რომ იჯერებდა, ქვიშიან სანაპიროზე ბიჭებს ეჭიდავებოდა ხოლმე, უფროსებიც ხშირად წაუქცევია, მაგრამ დიდ სპორტზე არასოდეს უფიქრია.**



სენაკის რაიონის სოფელ ნოსირის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ჯეჯელავა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მხედრული ვალი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოიხადა. ბრგე აღნაგობის კუნთმაგარ ჭაბუკს მეთაურებმა ძალოსნობაში ვარჯიში შესთავაზეს. არ გასჭირვებია. მალევე აუღო ალღო. კვირიდან კვირამდე აუმჯობესებდა შედეგებს, ზედიზედ რამდენიმე შეჯიბრება მოიგო და შეიარაღებული ძალების ნაკრებშიც მოხვდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს ძალოსანთა ნაკრებში ჩაირცხა. საკავშირო პირველობებზე საპრიზო ადგილებიც დაიკავა. ყველაზე დიდი გამარჯვება მაინც 1967 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალია. მანამდეც და მერეც რამდენჯერმე გააუმჯობესა საკავშირო რეკორდები. მისი ოცნება სამჭიდში 500-კილოგრამიანი ზღვრის გადალახვა იყო. 1969 წელს საქართველოს დედაქალაქში თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის ძალოსანთა გუნდების სამატჩო შეხვედრა გაიმართა. მძიმე წონაში ყველას თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ალექსანდრე ჯეჯელავამ აჯობა – სამჭიდში 502,5 კილოგრამი (160+147,5-195) მოაგროვა და ამიერკავკასიაში პირველმა გადააბიჯა 500-კილოგრამიან ბარიერს. ქართველმა ძალოსანმა იერიში მიიტანა ხმაბაროვსკელი გოლვანოვის საკავშირო მიღწევაზეც – დამატებით ცდაზე (მაშინ ეს დასაშვები იყო) 196 კილოგრამი აკრა და რეკორდსმენის სახელი დაიბრუნა. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ალექსანდრე ჯეჯელავამ დიდ სამირატთან განშორებამდე ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ძალოსნურ სამჭიდში 540 კილოგრამი მოაგროვა. ეს შედეგი სამუდამოდ დარჩა ძალოსნობის ისტორიაში, რადგან 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ საერთაშორისო ფედერაციამ აჭიმვა გააუქმა და მხოლოდ მისი მოძრაობა დატოვა – ატაცი და აკვრა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ჯეჯელავამ მწვრთნელობას მიჰყო ხელი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც დაიმსახურა. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა ძალოსნობის სკოლა, რომლის დირექტორიც თავად გახლდათ წლების განმავლობაში, რეგიონებში ფილიალები გახსნა, რომლებშიც უამრავ ნიჭიერ მოზარდს მოუყარა თავი. საქართველოში ძალოსნობის პოპულარიზაციისა და ამ სახეობის გასავითარებლად ბევრი რამ ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ გულმა უღალატა – 1990 წელს 50 წლისა გარდაიცვალა.

**ვაჟა დანელია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ კოჰაბიტაცია

# ვერის უბნის პარლამენტში

**გუშინ ვერის ბაღში შევიარე. დეკემბრის სუსხიანი ამინდის მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ ამდენ პენსიონერს არ ველოდი. ბაღი ყოველთვის სავსეა როგორც ხანდაზმული, ისე ახალგაზრდა პენსიონერებით, რომლებიც მიშნაცების უთავო პოლიტიკამ სამუშაო ადგილებიდან ისე გამოყარა, რომ მათთვის ბოდიშიც არავის მოუხდია. ჰოდა, ჩამომსხდარან ბაღში ჩაწალიკებულ სკამებზე ეს ჩვენი მოხუც-ახალგაზრდა პენსიონერები და დიდ პოლიტიკურ ჯახაჯუხში არიან.**

— ცოტა წყნარად ილაპარაკეთ, ძმებო, — ვსაყვედურობ, — პარლამენტი აქ ხომ არ გადმოგიტანიათ?

— პირიქით, ჩემო ბატონო, უკვე ორი თვეც არი, პარლამენტი ქუთაისში გადაიტანეს — მიხსნის მალალი, ჟღალწვერა პენსიონერი, რომელსაც გაცრეცილ პიჯაკზე ორი ღილი აკლია.

— მერე, ისინი თუ ქუთაისში გადავიდნენ, თქვენც ვერ გადაყევით?

— ვინ წაგვიყვანა, თვარა კი, — ოხრავს მუქსათვალიანი ბერიკაცი, — ქირის გადახდა მაინც არ დამჭირდებოდა, კვახჭირელი კაცი ვარ, სულაც იქიდან ვივლიდი პარლამენტში.

— შენ კი, მაგრამ მე რომ ძირძველი ვერელი ვარ, ქუთაისში ხაჭაპურის საჭმელად უნდა წავსულიყავი? — გაწყრა მელოტი პენსიონერი, — ბოლოს და ბოლოს ამ ბაღში მზე და ჰაერი მაინცა გვაქვს დაუყვედრებლად.

— იქ რა, ჰაერს ბაზარში ყიდულობენ? — აროხროხდა ბენიტო (მე მას პირადად ვიცნობ), — მაღლაკელი მაინც არ ვიყო, შე კაცო!

— ყიდულობენ, ყიდულობენ, — შეუძახეს ბენიტოს აქეთ-იქიდან, — პარლამენტში თურმე ფანჯრები არ იღება და აბა რას იზამენ?

— ტყუილია, არ დაიჯეროთ, — გააპროტესტა გიგუშამ, — აი, გაზეთში წერია, პარლამენტარებს ფანჯრები უკვე აღმოუჩენიათ(?!).

— აი, ხომ გეუბნებოდით, ყველაფერი მეოცნებე ივანიშვილების მოგონილია-მეთქი, ტაში შემოჰკრა ყავარჯენზე დაყრდნობილმა ნაციონალმა, — რა არ დასწამეს საწყალ პრეზიდენტს — ქვეყანა დაანგრიაო, ხალხი დაამშიაო, უსახურავო პარლამენტი ააშენა და შიგნით ისევე წვიმს, როგორც გარეთაო.

— მერედა ტყუილი რა იყო მაგაში? — გამოესარჩლა პრემიერს ახალგაზრდა პენსიონერი, — თქვე მავნებლებო, კუბლაშვილებო და წიკლაურებო, მინაშვილებო და თაქთაქიშვილებო, ვითომ არ დაგვამშიეთ ან კიდევ ტყუილად ვაბრალებთ მიშას თავქარიანობასა და ღორმუცელობას, რაზეც დღეს მთელი დუნია ლაპარაკობს?

— არჩევნებში ხო დაამარცხეთ ეგ მონსტრად აღიარებული მიშა და ახლა მაინც დაანებეთ თავი.

— არაფერსაც არ დავანებებთ. ვერა და ვერ გაძლა მაგის მუცელი, პრეზიდენტის შენახვა ყოველდღიურად 140 ათასი ლარი უჯდება ამ დამშეულ ქვეყანას.

— მიშა რო ჭამს, ეტყობა კიდეც. გირჩევნიათ, თქვენს გაჩხინკულ პრემიერს მიხედოთ.

— ივანიშვილი მჭამელი კი არა, საქმის მკეთებელია, ჩემო ბატონო.

— აბა კაცო, ერთბაშად არ აგვაშენა? რაც ეგ მოვიდა, ხალხის დაჭერის მეტი არაფერი გაუკეთებია.

— მიშასგან აბა სხვას რა ისწავლიდა? — სცადა ივანიშვილის გამართლება სკამის ბოლოში წამოსკუპებულმა გამომსვლელმა.

— მიშა, ჩემო ბატონო, კიდევაც იჭერდა და კიდევაც საქმეს აკეთებდა, გზები გაიყვანა, სანატორიუმებსა და საავადყოფოებს აშენებდა, არ აცალეთ, თორემ ლაზიკასაც დაასრულებდა და ნატოშიც სულ გრიალ-გრიალით შეგვიყვანდა.

— ჰო, დაპირებებისა და ტყუილების მეტი რა იცოდა, პირდაპირ ამ საქმის პროფესორი იყო.

— თორემ ივანიშვილი არ იტყუება, არა?

— აბა რა მოიტყუა?

— რაღა რა მოიტყუა, შე კაცო, ტარიფებს დავწევო და ვერ დაწია, პენსიებს გავზრდიო და გაზრდის მაგივრად გაყინა. კიდევ ჩამოგითვალო? გვპირდებოდა, წელიწადნახევარში წავალო და ეგეც გადაიფიქრა.

— თქვენ რას არ გადააფიქრებინებთ კაცს. თუ მაინცდამაინც ხალხისთვის სიკეთე უნდა, ადგეს და თვითონ მიშამ გაზარდოს პენსიები, პრეზიდენტს ამის გაკეთება ვინ აუკრძალა?



— ვერ მოგართვით! მიშა ახლა მხოლოდ ნაცების პრეზიდენტია და თქვენ რატომ უნდა გაგიზარდოთ პენსიები? აგერა გყავთ ფინანსთა მინისტრი ხადური და იმან გაგიზარდოთ.

— კიდევაც გაზრდის, ხო თქვა, პენსიები სექტემბერში გაიზრდებაო?

— ჰო, მაგარი ვინმეა ეგ თქვენი ხადური, პენსიების მატება კიდევ ერთი წლით უნდა გადასწიოს?

შევატყვე, სიტუაცია მწვავდებოდა და პარლამენტარი პენსიონერების შეჩერება ვცადე: ხალხო, ამდენს რო ყბედობთ, თქვენ რა სპიკერი არა გყავთ?

— სპიკერი რაში გვჭირდება, — მიპასუხეს ერთხმად. — სალაპარაკოდ რიგში რომ ჩაგვაყენოს! არა ბატონო, ჩვენთან სრული დემოკრატიაა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ფაქტები დამისახელეს. ქუთაისისგან განსხვავებით, ვერის უბნის პარლამენტი თურმე მრავალპარტიული ყოფილა და კახა კუკავას, შალვა ნათელაშვილს, ჯონდი ბაღათურიას და სხვათა პარტიებს აქ ფრაქციებიც კი ჰქონიათ. მითხრეს, ნათელაშვილი ხშირად გამოდის სხდომებზე და ნიშნისმოგებით გვეუბნება, რომ გეუბნებოდით არჩევნებში გამარჯვებული ივანიშვილისა და სააკაშვილის კრიმინალური მთავრობები შეხმატკბილებულად იმუშავებენო და არ იჯერებდით, ხომ გამართლდაო?!

ნათელაშვილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ არჩევნებში გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლება დემოკრატიულად რომ გადაეცა და კოჰაბიტაციამ იზეიმა, ეს საერთაშორისო თანამეგობრობამ ერთხმად აღიარა. ქართველ პოლიტიკოსებს ერთი ეგ არის, დაპირებების შესრულებაში ეჭედებათ, თორემ დემოკრატიის აღმართვაზე, რაც მართალია მართალია, მაგრა მიერეკებიან!



**ოტია ჩართოლანი**

◉ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

# რა საიდუმლოს გვიყვება ვახა იბრაგიმოვი?..

**წინ მიდევს ვახა იბრაგიმოვის რუსულად გამოცემული წიგნი „რუსეთის პრეზიდენტის საიდუმლო ბიოგრაფია“ (სტამბა „ვაგრიუსი“, ივერია). გადავწყვიტე, გაგაცნოთ ამ წიგნში გადმოცემული ყველაზე საგულისყურო მომენტები.**

ჩემი (და არა მარტო ჩემი) აზრით, ვლადიმერ პუტინი რუსეთს მხსნელად მოევლინა მაშინ, როდესაც ეს ბუმბერაზი სახელმწიფო დიდი პრობლემების წინაშე იდგა და მის პრესტიჟს საფრთხე ემუქრებოდა. ვახა იბრაგიმოვი ფიქრობს, რომ პუტინის ბავშვობის იმ წლებმა, რომლებშიც ადამიანის აზროვნებისა და გონებრივი მიმართულებების ჩამოყალიბება იწყება, საქართველოში, კასპის რაიონის სოფელ მეტეხში გაიარა (SIC!).

აქვე სადავო უნდა გავხადო (უფრო სწორად, უკუვაგდო) პატივცემულ ვახა იბრაგიმოვის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ თურმე, საქართველოს სტალინის, ბერიას, პრიმაკოვისა და პუტინის სახით ტირანები აღუზრდია. „Сколько еще иродов может воспитать Грузия (Сталин, Берия, Примаков, Путин), — ამბობს წიგნის ავტორი. მე კი ვუპასუხებ: ფაქტობრივად სტალინის შექმნილია უძლეველი სუპერსახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი; ბერიამ ეს კავშირი, თავისი დიდი უნარითა და გამჭრიახობით საგრძნობლად აამაღლა და განამტკიცა. პრიმაკოვს თავისი მოღვაწეობის პერიოდში თვალსაჩინო ბევრი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ, არც არაფერი გაუფუჭებია; პუტინზე კი ზემოთ ვთქვი და აქაც გავიმეორებ — მან რუსეთი დაღუპვას გადაარჩინა. ამ ცნობილ პირებს დავუმატებთ სამხედრო საქმეში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში თუ სპორტში, რუსეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ამ ქვეყნის სასარგებლოდ მოღვაწე ქართველებს!

აქ უადგილო არ იქნება დიდი ლევ ტოლსტოის სიტყვები გავიხსენოთ: **„ჩემი განზრახვა საქართველოში ჩამოსვლაზე ზეგარდმო მადლით იყო შთაგონებული, ეს ნაბიჯი ღმერთმა გადამადგმევინა და მხურვალედ ვწირავ მადლობას უფალს: ვგრძნობ, საქართველოში უკეთესი გავხდი“.**

ახლა კი ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ზოგიერთი ამონარიდი ვახა იბრაგიმოვის ამ ერთგვარად დაუჯერებელი წიგნიდან.

**„ცნობამ იმის შესახებ, რომ ვლადიმერ პუტინი 3 წლიდან 10 წლამდე ცხოვრობდა კასპის რაიონის სოფელ მეტეხში, დაწყებითი განათლება მიიღო ადგილობრივ საშუალო სკოლაში, მიიყვანა „ალია“ ქალაქ კასპში. ჩვენმა რესპონდენტმა — გაბრიელ დათაშვილმა, რაიონის საპროექტო ორგანიზაციის უფროსმა, განაცხადა, რომ ვოვა პუტინი (ასე ეძახდნენ მას სოფელ მეტეხში), იყო მისი თანაჯგუფელი. „ალიას“ წინასწარი მონაცემებით, იმ ჯგუფში ირიცხებოდა ორი ფრიადოსანი მოსწავლე — ვოვა და გაბრიელი.**

**კიდევ ერთი დეტალი: თანასოფლელთა ცნობით, იმ წლის იანვრიდან მეტეხში დაიწყო „სტუმართა“ გახშირებული ჩამოსვლა. ჩამოსულები ინტერესდებოდნენ გიორგი ოსეფაშვილის ოჯახით, სადაც 7 წლის განმავლობაში იზრდებოდა პატარა ვოვა. სტუმრები ხვდებოდნენ ყველას, ვისაც კი ჰქონდა თუნდაც მცირედი შეხება პუტინის წარსულთან“.**

**მიმართვა ბატონ გაბრიელს:**

**„ — აღწერეთ ფიზიკურად თქვენი თანაჯგუფელი ვოვა...**

**— პატარა, სუსტი ბიჭი, ქერა თმითა და ცისფერი თვალებით.**

**— ქართული კარგად იცოდა?**

**— რა თქმა უნდა. როდესაც ის მოიყვანეს, იყო 2-3 წლის და მე-4 ჯგუფამდე ცხოვრობდა აქ. შემდეგ დედამ, ქალბატონმა ვერა პუტინამ, წაიყვანა იგი უკანვე რუსეთში თავის მშობლებთან.**

**— რატომ?**

**— რამდენადაც მე ვიცი, ამის მიზეზი იყო სიძნელეები ოჯახში. გარდა ამისა, ქალბატონ ვერას შეეძინა ბავშვები. ვოვა როდესაც რუსეთში წაიყვანეს, უკვე ოჯახში იყო ორი გოგონა: სოფია და ლუბა. შემდეგ, 1961 წელს, დაიბადა ბიჭი, ამის შემდეგ კიდევ ორი გოგონა.**

**— ესე იგი ვლადიმერ პუტინს 4 ნახევარდა და ერთი ნახევარძმა ჰყავს.**

**— ასე გამოდის.**

**— როგორც წესი, სკოლაში ფრიადოსნები ყოველთვის მეგობრობენ. თქვენ მეგობრობდით ვოვასთან?**

**— დიახ. ჩემს გარდა ვოვას, ფაქტობრივად, მეგობრები არ ჰყავდა. ყველაზე ახლოს იგი ჩემთან იყო.**

**— ჩხუბის თავი და ცელქი იყო?**

**— არა, პირიქით, იგი ძალზე წყნარი, გულჩათხრობილი ბავშვი იყო. გაკვეთილების შემდეგ ხშირად მიდიოდა სათევზაოდ ან მოდიოდა ჩემთან და ვთამაშობდით ერთად.**

**— გიყვარდათ ომობანას თამაში?**

**— ომობანასაც ვთამაშობდით, ფარიკაობაშიც ვვარჯიშობდით, ვერთობოდით ლახტით, ვჭიდაობდით.**

**— მასთან და ჯგუფთან გადაღებული ფოტო არ გაქვთ?**

**— მაშინ ხომ ხშირად არ ვიღებდით ფოტოსურათებს. როდესაც ის მიემგზავრებოდა საქართველოდან,**



**დამიტოვა თავისი ფოტოსურათი წარწერით „სახსოვრად გაბრიელს ვოვასგან“. წლების განმავლობაში მე ამ სურათს ვინახავდი, მაგრამ ბოლოს დავკარგე. წარმოდგენა არ მაქვს, სად დაიკარგა. ასე რომ თუ პუტინს ახსოვს მეტეხში ცხოვრების პერიოდი, ვემახსოვრები მეც“.**

**„მე ღირსი ვარ იმისა, რომ ვოვა არ მთვლის თავის დედად“, — ეს ქალბატონ ვერას სიტყვებია.**

**პუტინის ჯგუფელი გამოდგა მეტეხის საშუალო სკოლის დირექტორი ბადრი ტატანაშვილიც, რომელიც ყვება:**

**„სოფელ მეტეხში, სკოლასთან ახლოს დგას დაუმთავრებელი ორსართულიანი სახლი ვენახის დიდი ტალავრით. სწორედ ამ სახლში ცხოვრობდა გიორგი ოსეფაშვილის მრავალშვილიანი ოჯახი და, როგორც მეტეხელები ადასტურებენ, ამ სახლში გაატარა თავისი ცხოვრების 7 წელი ვლადიმერ პუტინმა.**

**ვლადიმერ პუტინის დედა, 73 წლის (ახლა, ალბათ, 85 წლის) ვერა, დაბალი, სწრაფად მოძრავი, ცოცხალი ქალია. განვლილი ცხოვრების მოგონებისას მის თვალებზე ჩნდება ცრემლი. ლაპარაკობს კარგი ქართულით, ქართლის დიალექტით, ოდნავ შესამჩნევი რუსული აქცენტით“.**

**მეუღლეს (ვოვას მამას) ქალბატონი ვერა ასე ახასიათებს:**

**„მე მისი გახსენებაც კი არ მინდა. მან მე მომატყუა. მე უკვე ფეხმძიმედ ვიყავი, როდესაც გავიგე, რომ სხვა ოჯახი ჰყავდა“.**

**„ვოვას, ფაქტობრივად, ჩემი მშობლები ზრდიდნენ“**

**„რამ გაიძულათ, რომ ვოვა წაგეყვანათ რუსეთში მესამე ჯგუფის შემდეგ?“**

**„ჩემი მეუღლე იყო უკმაყოფილო იმის გამო, რომ ვოვა ჩვენთან იყო. მას თავისი შვილები ჰყავდა, სხვისი შვილები ვის უნდა?“**

**ამის შემდეგ ქალბატონ ვერას ვლადიმერი აღარ უნახავს. ვერას დედამ ერთი წლის შემდეგ იგი ინტერნატში ჩააბარა. ვოვა, ალბათ, განაწყენდა და იმიტომ დაუბარა ყველას, არაფერი ეთქვათ მისი ადგილსამყოფლის შესახებ.**

**„მილიონი პროცენტით ეს ის არის“ — ადასტურებს პატარა ვოვასა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ერთ პიროვნებობას მეტეხელი, ჭიდაობა სამბოს საქართველოს ნაკრების თავკაცი ლეო იაძე, რომელსაც მეტეხიდან კარგად ახსოვს ვოვა. ამიტომაა, რომ ბატონი ვლადიმერის არც ერთ ოფიციალურ ბიოგრაფიაში „მეტეხის 7 წელი“ არ ჩანს.**

**თუ კიდევ დარჩა ვინმე, ვისაც ვლადიმერ პუტინის მეტეხში ცხოვრების შვიდი წლისა არ სჯერა, მაშინ მას ერთ საიდუმლოს გავუმხელ: კარგად შეამოწმოს ვოვას მარცხენა ხელის შუა თითი, რომელშიც მას თევზაობისას ანკესი გაერჭო და ამხანაგმა ამოძრობისას პატარა ხორცის ნაჭერიც ამოაყოლა, რაც ნაჭრილობევს აუცილებლად დატოვებდა. მაგრამ ვინ და რა ვითარებაში შეამოწმებს ამის რეალობას, ეს უკვე დაინტერესებული პირის პრობლემაა“.**

აი ასეთ თითქოსდა ნაკლებად დასაჯერებელ ამბებს გვიყვება ვახა იბრაგიმოვი...

დაბოლოს, მინდა აზრი გამოვთქვა იმის შესახებ, რომ სრულიად ალოგიკურად და გაუმართლებლად მიმაჩნია ის მდგომარეობა, ჩვენი ორი ერის ურთიერთობაში რომ დაისადგურა. ეს არც ძველი და არც ახალი ურთიერთობებით არ არის გამართლებული. იმედია, საღი გონება გაიმარჯვებს და ჩვენს ერთმორწმუნე ერებს შორის აღსდგება კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

ლევან ადეიშვილი, მურად ანჯაფარიძე თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს დავით სინჯიაშვილს დედის

**ანასტასია ყოჩიშვილი-სინჯიაშვილის**

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 8 XII, 14 სთ. მის. ირაკლი აბაშიძის 43, IV სადარბაზო, მე-5 სართული.

## შეუცნობელი

# მკურნალი ზარების რეკვა

**მომღერალი ფიალებით, ანუ ტიბეტური თასებით, ამ მეტად უჩვეულო მასაჟის სამშობლოა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. იგი ტაძრებში მსახურების ცერემონიების დროს წარმოიშვა, რომლებსაც ბუდისტი ბერები არაჩვეულებრივი მუსიკალური საკრავების თანხლებით ატარებენ.**



### ბგერებით განბანვა

**მომღერალი ფიალა – ესაა გადმობრუნებული ზანზალაკის ნაირსახეობა, თუმცა კი მას ენა არა აქვს.** მისგან ბგერის არა მარტო დარტყმით გამოცემა, არამედ საგანგებოდ გათლილი ხის მოკლე ჯოხით – სტიკით თასის პირზე ნარნარი ტარებით მელოდიის აჟღერებაა შესაძლო. ამ დროს ბგერა თანდათანობით ძლიერდება და ნელ-ნელა უფრო ღრმა ტონებით მდიდრდება. როცა სტიკს წრეზე ატარებენ, თასის უწყვეტი ჟღერადობის – ხმოვანი რეზონანსის დაჭერა დიდი ხნის მანძილზეა შესაძლებელი. **იმდენი ხნის მანძილზე რეზონირება** არც ერთ სხვა – არც სიმებიან, არც დასარტყამ მუსიკალურ საკრავებს არ შეუძლიათ. სწორედ ამ უნიკალურმა თვისებამ აქცია ისინი სამკურნალო ზემოქმედების საუცხოო საშუალებად.

### სფეროთა მუსიკა

მომღერალი თასები ფართოდაა გავრცელებული ნეპალში, ტიბეტში, ლაოსში, ტაილანდში, მონღოლეთში, იაპონიაში, ვიეტნამში და ეს სულაც არ არის შემთხვევითი ამბავი, რადგან ამ ქვეყნების რელიგიურ სწავლებაში ბგერას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. **ბუდას სწავლების მიმდევრები სამყაროს როგორც მრავალგანზომილებიანად ჟღერად სუბსტანციას აღიქვამენ, რომლის თითოეული მიკროელემენტი გამოასხივებს და აღიქვამს სიდიდითა და ინტენსიურობით განსხვავებულ უამრავ ბგერით ტალღას.**

ეს ხალხები მომღერალ თასებს მრავალნაირად ჟღერადი სუბსტანციების ერთ რიგზე ასაწყობად იყენებენ და მიაჩნიათ, რომ ბგერითი რხევების შეთანხმებულობა და თანაფარდობა ღვთაებრივ ჰარმონიას, მათ შორის ადამიანის სულსა და სხეულში წარმოქმნის.

ალსანიშნავია, რომ **ზარების რეკვის ხმოვან ვიბრაციებს სივრცის განსაწმენდად და სამკურნალოდ არა მარტო აღმოსავლეთში იყენებენ. მაგალითად, გერმანელები თაობიდან თაობას გადასცემენ ცოდნას ზარების ჯადოსნური ძალის შესახებ, მათ ოდითგანვე მიაწერდნენ არა მარტო უწმინდურ ძალთა განდევნის, არამედ ჰაერის მიკრობებისგან გაწმენდის უნარს.**

### უფრო მეტი, ვიდრე მასაჟი

მასაჟისთვის კაცს მუცელზე აწვენენ, მისი ხერხემლის ხაზსა და მუხლებქვეშ თასებს დგამენ. მიჩნეულია, რომ **რაც მეტია მომღერალი თასი, მით უფრო ძლიერია ეფექტი.** შემდეგ კი მედიტაციის მსგავსი რამ ხდება: დაწოლილმა კაცმა თვალები უნდა დახუჭოს და ბგერების მოსმენით საკუთარ თავს ჩაუღრმავდეს. ზოგიერთ თასებს როგორც ზარებს ისე ურტყამენ, ზოგსაც სტიკს ნარნარად „უტრიალებენ“. სტიკის ტარება ხდება ფიალის როგორც შიდა, ასევე გარე კედლებზე. **ზოგჯერ თასებს ადამიანის სხეულზე კი არ დებენ, არამედ სხეულს შემოუწყობენ, რომელთან უშუალო კონტაქტის გარეშეც ბგერები მასზე ვიბრაციით ზემოქმედებენ.**

მომღერალი თასებით მასაჟი ჩვეულებრივ მასაჟზე გაცილებით ეფექტიანია. სხეულის იმ ნაწილებს, რომლებზეც თასებს დებენ, ვიბრაციები ნემსებივით ჩხვლეტენ. ამ პროცედურის ჩამტარებელმა ოსტატმა აუცილებლად კაცის სხეულის სრულ მოდუნებას უნდა მიაღწიოს და სიამოვნება მიანიჭოს არა მარტო მის ტანსა და სმენას, არამედ სულსაც. ზოგიერთი მასაჟისტი მუშაობის დროს ჩუმად ლოცვასაც კითხულობს.

### ჰარმონიის აღდგენა

**ვიდრე სტიკი ფიალის კედელზე ნარნარად მოძრაობს, ადამიანს ნეტარების გასაოცარი გრძნობა ეუფლება, რომელსაც ასე დიდად აფასებენ ბუდისტები.** ობერტონებით მდიდარი ხმოვანი ვიბრაციები ადამიანის ორგანიზმზე ჰარმონიულად ზემოქმედებენ. ისინი მას მოდუნების შესაძლებლობას აძლევენ, ხელს უწყობენ უფრო ღრმა სუნთქვას. მომღერალი თასებით მასაჟი რეკომენდებულია ჰიპერაქტიური ბავშვებისთვის და ნერვული აშლილობების დროს გამოიყენება. ასევე შემჩნეულია რომ ეს მასაჟი კონცენტრაციას აუმჯობესებს. ბგერები კუნთების დაძაბულობას ხსნიან, საჭმლის მონელების სისტემას აუმჯობესებენ. **რამდენიმე წლის წინათ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ბგერების ზემოქმედებით, რომელიც წყალს „ესმის“, ვთქვათ, კლასიკური მუსიკის ან ლოცვების გაგონებაზე, იგი ლამაზდება, ხოლო მძიმე როკის ზემოქმედების შედეგად მისი მიკროსტრუქტურები იშლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის სხეულიც, რომელიც დაახლოებით 85 პროცენტით წყლისგან შედგება, აუცილებლად რეაგირებს ბგერებზე.**

**ნინო ალექსანდრია**

### ინფორმაცია თემაში

**თუკი მომღერალ თასში წყალს, თუნდაც ცივს, ჩავასხამთ და გარე კედელზე სტიკს წრიული მოძრაობით ვატარებთ, ცოტა ხანში ბუშტულაკები ცოცხალი მძივებივით თასის ცენტრისკენ დაიძვრებიან. როცა ხმა პიკს მიაღწევს, ისინი ისევე დაიწყებენ თასიდან ამოხტომას, როგორც ეს დუღილისას ხდება ხოლმე, თუმცა კი წყლის ტემპერატურა არ იცვლება. მიჩნეულია, რომ ასეთი წყლის დალევა სასარგებლოა – იგი ხომ ბგერითაა გაწმენდილი**

## ჩვენი პრესდაიჯესტი



# გუშინდელი გაზეთებიდან

### „ვაფრთხილებ სააკაშვილს, თუ 10 დღეში ჭიაბერაშვილს არ მოგვაშორებს, რაღაც ღონისძიებებს მივმართავთ“

– იმუქრება ყვარლელი მევლუდ იობაშვილი, – არ ვიცი, რა უნდა ჭიაბერაშვილს კახეთში? სამაგიეროდ, ვიცით, საიდან მოვიდა, ვინ იყო და რა აქვს ნათქვამი ქართვლის დედაზე. ეტყობა, სააკაშვილს კახეთი ნაგავსაყრელი ჰგონია... ჭიაბერაშვილი არის კაცი, რომელმაც ვერ გაარჩია ერთმანეთისაგან ხმალი და ფალოსი. მაგას გუბერნატორად რა უნდა? 10 დღეში მოგვაცილოს სააკაშვილმა, თორემ სხვა ღონისძიებებს მივმართავთ!..

**„ალია“**

### ბაგა-ბაღებს უკანონოდ გათავისუფლებული პედაგოგები დაუბრუნდებიან?

ამ ინიციატივით გამოდის თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელები“ და მისი თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე, რომელიც ამბობს, რომ მისი ფრაქცია იწყებს მუშაობას ბაგა-ბაღებში შექმნილი მთელი რიგი პრობლემების მოსაგვარებლად, რომელთა შორისაა სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილ დირექტორთა და პედაგოგთა უფლებების დაცვა, საბავშვო ბაღების აღმზრდელების, ფსიქოლოგების, მუსიკის მასწავლებლების, ლოგოპედებისა და სხვების ხელფასების 50 პროცენტით გაზრდა, ჯგუფებში ბავშვების 40-დან 25-მდე შემცირება და ამ მიზნით დამატებითი საბავშვო ბაღების გახსნა.

**„ახალი თაობა“**

### ახალგორელებისთვის საგზაო შეზღუდვები კვლავ ძალაშია?!

ახალგორელებისთვის საგზაო შეზღუდვები დიდი ტვირთის გადატანასთან დაკავშირებით საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც პრაქტიკულად კვლავ ძალაშია. კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საყოფაცხოვრებო ნივთების შეტანა ახალგორის რაიონში არ იკრძალება. ამის მიუხედავად, ადგილობრივებს არაერთი ბარიერის გადალახვა უხდებათ იმისთვის, რომ ესა თუ ის საყოფაცხოვრებო ნივთი თუ საშენი მასალა საკუთარ სახლამდე მიიტანონ.

**„რეზონანსი“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– **წუხელ** ღამის სამ საათზე მივედი სახლში.
– მერე ცოლმა რა გითხრა?
– უცოლო ვარ.
– მაშინ რატომ ბრუნდები სახლში ასე გვიან?

* * *

**გახურებული** ქორწილია. ყველანი გაუთავებლად ულოცავენ ნეფე-პატარძალს. ერთი სტუმარი მიმართავს მორცხვად მჯდომ ახალგაზრდას:
– თქვენ რატომ არ ულოცავთ ნეფე-პატარძალს?
– არ შემიძლია... არ ვიცნობ პატარძალს და ამიტომ ვერ მივულოცავ ნეფეს. მაგრამ მე ვიცნობ ნეფეს და ამიტომ ვერ მივულოცავ პატარძალს.



– **საყვარელო**, როდესაც ჩემი ქმარი გახდები, შენთან გავიყოფ შენს ყველა საფიქრალსა და სადარდებელს.
– გმადლობთ, ძვირფასო! მაგრამ მე არა მაქვს არანაირი საფიქრალი და სადარდებელი.
– მე გითხარი, როდესაც ჩემი ქმარი გახდები-მეთქი.

* * *

**სტუდენტმა** თანაკურსელი გოგონა შეირთო. ერთხელაც იგი შედის მათთვის გამოყოფილ საერთო საცხოვრებლის ოთახში და ხედავს, რომ მისი ახალგაზრდა ცოლი ცენტრალური გათბობის ბატარეაზე ზის.
– რას აკეთებ?
– ვახშამს ვათბობ.

* * *

– ეჰ, არ უნდა დავქორწინებულიყავი, – ეწუწუნება ტიპი ძმაკაცს, – ცოლი ვერ მიტანს, როცა მთვრალი ვარ, ფხიზელს კი მე არ შემიძლია მისი ატანა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com